# საქართველო

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი №50 (1560) 31.V.—4.VI, 1997 წელი


## გოგუაძე — იოსელიანს:

ჯაბა, რას იტყვი, მოქკავშირის ნორჩ კარიერისტებსა და ნორჩ ჯიბის ქურდებს შორის რომელი მეტი მამაძაღლია?

4



## შევარდნაძე ყველაზე დიდი ზვიადისტია, რადგან გამსახურდიას ყველა მოწინააღმდეგე დაიჭირა...

2

## ტელესერიალები „კეთილი ნარკოტიკის“ ნაირსახეობაა

9

## ზეიმზე სტალინმა რუსი ხალხის სადღეგრძელოში ასეთი სიტყვები თქვა...

7

აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

მომდევნო ნომრებიდან გაგრძელდება ნოდარ გრიგალაშვილის «სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლების» ბეჭდვა

# პარლამენტში წყალს ნაყავენ და კონკრეტულ ვადას აფიქსირებენ

როგორც იქნა, საქართველოს პარლამენტმა, 30 მაისს დაიწყო აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში რუსეთის ჯარების ყოფნა-არყოფნის საკითხზე მსჯელობა. იგი მიმდინარეობდა საგადასახადო კოდექსის განხილვის შუალედში და პარლამენტის დიდი შესვენება შეიწირა (2 სთ-დან – 4 სთ-მდე). ილუზია, რომ მსჯელობა და შემოტანილი დადგენილების პროექტი რაიმე ძირეულ ცვლილებას შემოიტანდა ამ საკითხში, არავის არ ჰქონდა. თუმცა გია ბარამიძემ ცეცხლოვანი სიტყვა წარმოთქვა და ზურაბ ჟვანიაც მისაღებ დოკუმენტს მნიშვნელოვანს უწოდებდა, მაგრამ საერთო განწყობილება მაინც ინერტული და ბედის შემგუებლური იყო. აფხაზეთის



ფრაქციის ზოგიერთმა წევრმა ცოტა გაიბრძოლა, მაგრამ ზურაბ ჟვანიამ მკაცრად მიუთითა, რომ დადგენილებაში, რომელიც შემთანხმებელმა კომისიამ მიიღო, არც ერთ სიტყვას არ შეცვლიდნენ. ამიტომ ერთმანეთში შეჩივლების შემდეგ „გამოუვალ მდგომარეობაში გვაყენებენ, იძულებულს გვხდიან დავთანხმდეთო“, ფრაქციის რამდენიმე წევრმა დადებითი ხმა მისცა. ხოლო ფრაქციის თავმჯდომარემ, გერმანე ფაცაციამ დამღუპველი უწოდა დადგენილებას და რიტორიკულად იკითხა, „ვინ უფრო დამნაშავეა, ვინც წყალს ნაყავს, თუ ვინც ქვასანაყში წყალს ასხამს?“ და უარი თქვა კენჭისყრაში მონაწილეობაზე. თორნიკე ფიფიამაც კოლეგის აზრი გაიზიარა და დარბაზი დატოვა.

ირაკლი ბათიაშვილიც თავის სიტყვაში თითქმის იგივე აზრს ატარებდა: „თუ არ მოხდა 28 მარტის სამიტის გადაწყვეტილების შესრულება, ამ შემთხვევაში მი-



ზანშეუწონლად მიმაჩნია სამშვიდობო ძალებისათვის არეალის გაფართოება; ეს სიკეთეს არ მოგვიტანს. ამავე დროს, რატომაა უფლებების გაფართოება პროგრესი, არ მესმის. ასევე, რატომაა სამშვიდობო ძალების გაყვანა, რომელიც ჩვენვე ჩავაყენეთ, რაღაც წინგადადგმული ნაბიჯი? ჩვენ ხომ საწყის წერტილს ვუბრუნდებით.. უნდობლობა უნდა გამოვუცხადოთ იმ პოლიტიკას, რომელიც ტარდება და არა სამშვიდობო ჯარებს, იმ დსთ-ს, ვისი ეგიდითაც ეს ჯარები იქ დგანან. ჩვენს დონეზე შეიძლება არ გადაწყდეს, მაგრამ უნდა დადგეს საკითხი საქართველოს დსთ-დან გამოსვლის შესახებ. საჭიროა სერიოზული მსჯელობა, თუ რა სარგებლობა მოაქვს ამ ორგანიზაციას ჩვენთვის პოლიტიკურად და ეკონომიკურად, ასევე კონფლიქტების დარეგულირების საქმეში. უნდა დავინახოთ და აღმოვფხვრათ მიზეზი და არა შედეგი“. შემდეგ ირაკლი ბათიაშვილმა დააყენა საკადრო ცვლილებების საკითხი ძალოვან სტრუქტურებში, განსაკუთრებით თავდაცვის სამინისტროში. გივი ლომინაძემ კი თავდაყირა დააყენა ყველაფერი: „რატომ ვუკავშირებთ სამშვიდობო ძალების გამოსვლას ლტოლვილთა დაბრუნებას? ამგვარი დოკუმენტი არ არსებობს. სამშვიდობო ძალების ფუნქცია ძალთა დაშორიშორება და მშვიდობის შენარჩუნებაა“.

მამუკა გიორგაძემ და ირაკლი ბათიაშვილმა რამდენჯერმე შეღალადეს პარლამენტის თავმჯდომარეს „რამდენჯერ შეიძლება მივიღოთ ერთი და იგივე გადაწყვეტილებაო“, მაგრამ ზურაბ ჟვანია შეუვალი იყო: „აქ კონკრეტული ვადაა მითითებული. ამ დარბაზის მიღმა ყველამ გაიგო რაზეა ლაპარაკი“.

დადგენილებაში კი პარლამენტი სთხოვს საქართველოს პრეზიდენტს, რომ თუ 31 ივლისამდე არ შესრულდა 28 მარტის სამიტის გადაწყვეტილებები, 1 აგვისტოდან შემუშავებულ იქნეს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების გასაყვანი მექანიზმები და რეალიზაცია. დადგენილებაში ასევე ცალკე პუნქტებადაა ჩამოთვლილი შავი ზღვის ფლოტის წილის საქართველოსათვის გადმოცემის საკითხი და სამხედრო შეიარაღების ქვოტებზე მოლაპარაკება რუსეთთან. კენჭისყრის დროს რეგისტრაცია პარლამენტის 145 წევრმა გაიარა, დადგენილებას ხმა მისცა 152 და წინააღმდეგი იყო 4. ან პარლამენტის კომპიუტერში არაა შეყვანილი არითმეტიკული პროგრამა, ან პარლამენტის წევრებს ნებისმიერი ადგილიდან შეუძლიათ ფსიქოტრონული იარაღის მეშვეობით პარლამენტის ტაბლოზე თავისი თანხმობის დაფიქსირება.

სხდომის შემდგომ აფხაზეთის ფრაქცია გია ბარამიძესთან კამათობდა, გერმანე ფაცაციამ კი მიღებულ დოკუმენტს „ზღაპარი ქარში“ დაარქვა, მხოლოდ ვახტანგ ყოლბაია იტოვებდა რაღაც იმედს, რომ დადგენილება რაიმე შედეგს მოიტანდა.

სოციალისტები კი გახარებულნი იყვნენ, რადგან პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება მათი პროექტის მიხედვით იყო შექმნილი.

**მანანა იაშვილი**



## გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორს ბატონ ნოდარ გრიგალაშვილს

თქვენი გაზეთის 21–24 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი – „ვისი გარდაცვალება ვინატროთ, ხელისუფალნო!“ – რომელშიც ავტორი მ.ღვინიაშვილი სარკასტული ხერხით ცდილობს ახსნას, თუ რატომ დაიგო ასფალტი გლდანის მასივის მთავარ გზებზე: იქ თურმე გამგებლის მოადგილე გარდაცვლილა, სამძიმარზე მაღალ სტუმარს ელოდნენ და ამიტომ წინა ღამით ეკლესიამდე დაუგიათ ასფალტიო.

გასაგებია წერილის ავტორის სურვილი, როგორმე გაალიზიანოს და გაამძაფროს მკითხველის ყურადღება, მაგრამ, სამწუხაროდ, ხელთ შერჩება უადგილო ხუმრობა, რომელშიც დამახინჯებულია ამბის რეალური და მორალური მხარეები.

საქმე ის გახლავთ, რომ ხსენებული გზების შეკეთება ორი თვის წინათ დავიწყეთ და ამ საქმეს უშუალოდ ხელმძღვანელობდა სწორედ გამგებლის მოადგილე, აწ გარდაცვლილი ბატონი თენგიზ შეშელიძე. მისი დამსახურებაც იყო, რომ გლდანის ცენტრალურ გზებზე არსებულ სავალალო მდგომარეობას გამოსწორების ნიშნები დაეტყო (ამის შესახებ იხ. გაზეთი „გლდანი–2001“, 3 აპრილი, 1997 წ.).

გამგეობამ გადაწყვიტა პატივი მიეგო თენგიზ შეშელიძის ხსოვნისთვის და დაკრძალვამდე მოამთავრა მის მიერ დაწყებული საქმე. რა არის ამაში საქირქილო? ნუთუ ის უფრო ღირსეული საქციელი იქნებოდა, რომ ოღრო-ჩოღროებით გაგვესვენებინა კაცი, რომელიც სიკვდილის წინა დღეებში წელებზე ფეხს იდგამდა, რათა ეს გზები წესრიგში მოეყვანა?!

სხვათაშორის, გზების შეკეთება გრძელდება და მალე აღდგება ის მონაკვეთიც, რომელსაც წერილის ავტორი შეუწუხებია. ასე რომ, ნურავის გარდაცვალებას ნუ ინატრებს მ.ღვინიაშვილი.

გაზეთი „საქართველო“ პატივსაცემ და სერიოზულ გამოცემად მიგვაჩნია და ამიტომაც გაგვაკვირვა ამ წერილის უპასუხისმგებლო ტონმა. იმედია, მომავალში მარტო ღვინიაშვილის ინფორმაციას არ დაეყრდნობით, ბატონო ნოდარ, და თქვენთვის ჩვეული გულისხმიერებით მიუდგებით გლდანის რაიონში არსებულ პრობლემებს.

პატივისცემით –
თბილისის გლდანის
რაიონის გამგეობის
თავმჯდომარე
**სოსო ვაშაკიძე**

## შევარდნაძე ყველაზე დიდი ზვიადისტია, რადგან გამსახურდიას ყველა მოწინააღმდეგე დაიჭირა...

საქართველოში ასე ხუმრობენ, მაგრამ „ისეთ ხუმრობას რა ეუთხარიოლ“ და რიგში დიდი ხანია საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა დგას. რამდენიმე წელია იგი წარმატებით იცილებდა ხელისუფლებისაგან წამოსულ სხვადასხვა ბრალდებებს, თანამებრძოლები ციხეში ჩასვეს, რუსთაველის საზოგადოებაც ხელიდან გამოგლიჯეს, მაგრამ პირადად მასზე საქმე, ისიც სამოქალაქო, მხოლოდ ახლა მოახერხეს შეეთხზათ: თენგიზ სიგუას, სოსო ცისკარიშვილს და ალექსანდრე იოსელიანს ბრალად წაუყენეს თანამდებობის ბოროტად გამოყენება და 15 მილიონი დოლარის დამალვა. სასამართლო პროცესი უკვე მეორედ გადაიდო. 29 მაისს ადვოკატებმა მოითხოვეს 10 დღე საქმის მასალების გასაცნობად. ხუთი წელია დღევანდელი ხელისუფლება ვერ ახერხებს პოლიტიკური შეფასება მისცეს 1992 წლის მოვლენებს და როგორ მოახერხებენ ადვოკატები 10 დღეში, იმდროინდელი ქაოსიდან ჭეშმარიტების ძაფის წვერი მოძებნონ, მართლაც საინტერესოა. კომენტარი ვთხოვეთ სოსო ცისკარიშვილის დამცველს, იურისტ კობა დავითაშვილს:

„სოსო ცისკარიშვილი იყო დროებითი მთავრობის სახელმწიფო მრჩეველი. მან, მაშინდელი პრემიერ-მინისტრის, სიგუას დავალებით მოამზადა პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა, რომ ეროვნული ბანკის მიერ შესაბამისი კურსის დამტკიცებამდე უნდა ეხელმძღვანელათ 1991 წლის 31 დეკემბრის კურსით. მიიღეს შესაბამისი ბრძანებულება. ეს იყო გარდამავალი პერიოდი, როდესაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, სსრკ მთავარმა ბანკმა დაკარგა თავისი უფლებამოსილებები, მაგრამ რესპუბლიკის ბანკებს ჯერ თავის ხელში არ ჰქონდათ ეს უფლებამოსილებები აღებული. ამ პერიოდში საბაჟოზე იყო ტვირთები, რომლის გატარება ვერ ხდებოდა, რადგან არ იყო დადგენილი კურსი და საბაჟოზე ვერ ხდებოდა ფიქსირება რა კურსით (მანეთი – დოლართან) უნდა მომხდარიყო საბაჟო მოსაკრებლების აღება. მთავრობის დადგენილებით კი დაწესდა, რომ ამ შემთხვევაში საბაჟოებს უნდა ეხელმძღვანელათ სსრკ-ის დაშლამდე მიღებული კურსით. მაშინ არც ეროვნული ბანკი არ ფუნქციონირებდა და არც კუპონი იყო ჯერ შემოღებული. ასეთ პირობებში ალბათ ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რაიმე ტვირთი გასულიყო. ახლა ბრალად უყენებენ, რომ რეალური კურსი რომ დაფიქსირებულიყო, 15 მილიონით მეტი შევიდოდა ბიუჯეტში, მაგრამ იმას არ ფიქრობენ, რომ ამ პერიოდში საერთოდ რომ არ დაეფიქსირებინათ კურსი, მაშინ ვერანაირი ტვირთი საბაჟოზე ვერ გაივლიდა და სახელმწიფოც არაფერს მიიღებდა. როგორც კი ეროვნულმა ბანკმა აიღო უფლებამოსილება, რამდენიმე თვეში ეს ბრძანებულება გაუქმდა.

– *ახლა რატომ იქნა ეს ფაქტი წამოწეული?*

– სიტუაცია აბსურდულია, ხუთი წლის წინანდელ მოვლენებზე დღეს შედის სამოქალაქო სარჩელი. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა იურიდიულ პირებს შორის დავაზე არის 1 წელი, მოქალაქე თუა ერთი მხარე, მაშინ 3 წელი. ესე იგი ხანდაზმულობის ვადა გასულია. ცისკარიშვილზე ასევე აბსურდული გადაწყვეტილებაა გამოტანილი ამნისტიის აქტის საფუძველზე საქმის არაღძვრის შესახებ. ამნისტიის აქტი ითვალისწინებს აღძრული საქმის შეწყვეტას ან კაცის სასჯელისგან გათავისუფლებას და არა არაღძრული საქმის შეწყვეტას. კვალიფიკაციაც არაა სწორი, ძიება ამტკიცებს, რომ მინისტრთა კაბინეტი შეიჭრა ეროვნული ბანკის კომპეტენციაში ე.ი. გადააჭარბა უფლებამოსილებებს. ეს 187-ე მუხლია, ხოლო სიგუასა და ცისკარიშვილზე ინკრიმინირებული იყო 186-ე მუხლი – ხელისუფლების ბოროტად გამოყენება. ეს სულ სხვა რამეა: კაცი თავის კომპეტენციას არ აჭარბებს და იყენებს ბოროტად. ძიება კი ამტკიცებს გადაჭარბებას. პრინციპული სხვაობა იმიტომაა, რომ ერთ მუხლს ეკუთვნის ამნისტია, მეორეს არა.

– *მაგრამ ახლა ხომ სამოქალაქო საქმე ირჩევა?*

– დღეს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ორგანიზაციის მუშაკის მიერ მიყენებულ ზარალზე პასუხს აგებს ორგანიზაცია, ანუ მინისტრთა კაბინეტი. საქმე მასზე უნდა აღძრულიყო. ბევრი აბსურდია ამ საქმეში. ხელისუფლების გადამეტებაზეც არ შეიძლება ლაპარაკი, რადგან კანონი მიგვითითებს, რომ ეს არის თანამდებობის პირის მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების გადამეტება. ამ შემთხვევაში არც სიგუას და არც ცისკარიშვილს არანაირი კანონით არანაირი უფლებამოსილება მინიჭებული არ ჰქონდათ. ეს იყო ძველი მთავრობა, რომელმაც იარაღით ხელში აიღო ძალაუფლება და ახორციელებდა შეუზღუდავად ამ ძალაუფლებას არჩევნებამდე.

– *თენგიზ სიგუას მიმართ პოლიტიკურ ანგარიშსწორებას აქვს ადგილი?*

– ჩემი კლიენტი ცისკარიშვილია, რომელიც უბრალოდ მოჰყვა ამ საქმეში. ლოგიკურად სხვა დასკვნა არც შეიძლება გაკეთდეს. არსებობს იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი და არსებობს პოლიტიკური. თუ პრემიერმა სახელმწიფოს მართვა ვერ შესძლო, ეს პოლიტიკური პასუხისმგებლობაა და მას აღარ აირჩევენ, ხალხის გადასაწყვეტია.

– *სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?*

– კი, მაგრამ ამ შემთხვევაში ფულის მითვისება არ მომხდარა, გამოძიება თუ დაამტკიცებდა ბოროტად გამოყენებას და ფულის მითვისებას, აქ ჰიპოტეტურად ამბობენ: აი, ბიუჯეტმა ვერ მიიღო 15 მილიონი, სხვა კურსი რომ ყოფილიყო, მიიღებდაო. მაგრამ სხვა კურსი რომ ყოფილიყო, ის საბაჟო საქონელი ამ საზღვარზე გამოივლიდა? არაა აქ მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, რადგან მე შეიძლება ბრძანებულება მივიღო და ტვირთებმა არ გაიაროს, შეიძლება არ მივიღო და უამრავმა ტვირთმა გაიაროს.

– *რა გამოდის?*

– არაკომპეტენტურობა. რაც შეეხება თენგიზ სიგუას, რადგან სხვა ვერაფერი გამოუნახეს, ეს მის პატიოსნებას გულისხმობს. თითიდან გამოწოვილი საქმეა.

**მ.იაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველი დაფარული თანდათანობით ცხადდება, მაგრამ რა, ვწეროთ და ვიკითხოთ?!

## ღია წერილი კორუფციასთან ბრძოლის საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარეს

ბატონო გიორგი, ჯობდა ეს ბარათი პირადად თქვენი კომისიისათვის გამოგვეგზავნა, მაგრამ ისე გახმაურდა კახეთის გზატკეცილზე მომხდარი ყაჩაღური აქტი და სხვა ისეთი მტკივნეული პრობლემებიც გამოაჩინა, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა დაინტერესებულია, რაც შეიძლება მალე მოეფინოს ნათელი ყველაფერს და საჯაროდაც ამიტომ მოგმართავთ.

სამწუხაროა, რომ პრესისა და ტელე-ჟურნალისტების ერთი ჯგუფი ცდილობს საზოგადოების დაბნევას და დაუსრულებლად იმეორებს ათასგვარ სიცრუეს და თანაც საქმე ისე უნდა წარმოადგინონ, თითქოს „ელიზის" მხრივ ყაჩაღობა კი არ მომხდარა (რაც სრულიად აშკარაა პროკურატურის მონაცემების მიხედვით), არამედ კონკურენციაა ორ ფირმას შორის და მთელი ეს აურზაური ვითომ ამის გამოა.

არადა, შარაგზის ყაჩაღობა კი არ მომხდარა, მოხდა ისეთი ბანდიტური აქციები, რომლის სათავის გარკვევა სახელმწიფოებრივი საქმეა.

გაზეთ „საქართველოს", „დილის გაზეთისა" და „დრონის" ფურცლებზე ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით უკვე იყო დასაბუთებული, რომ ფირმა „ელიზი" კონტრაბანდულ საქმიანობას ეწევა.

ამის ნათელსაყოფად კიდევ ერთ საბუთს მოვიტანთ.

იხილეთ ქვემოთწარმოდგენილი ორი მრავლისმეტყველი ცხრილი:

**საქართველოში ექსპერიმენტის პერიოდში ოფიციალურად აღნუსხული იმპორტირებული სიგარეტის რაოდენობა ყუთებში**

| | ომეგა | ელიზი | დანარჩენი ფირმები |
|---|---|---|---|
| ოქტომბერი 96 | 25 750 | 0 | 8 477 |
| ნოემბერი 96 | 46 548 | 6 580 | 14 293 |
| დეკემბერი 96 | 41 878 | 0 | 15 020 |
| იანვარი 97 | 23 257 | 0 | 13 327 |
| თებერვალი-97 | 37 033 | 1 840 | 15 780 |
| მარტი-97 | 52 915 | 3 640 | 23 032 |
| აპრილი-97 | 46 862 | 300 | 43 966 |
| მაისი-97 | 53 482 | 0 | 24 080 |
| მთლიანად | 327 725 | 12 360 | 157 975 |
| პროცენტულად | 65.80% | 2.48% | 31.72% |

დანარჩენი ფირმები:
„სამგორი-96". „მარიზკა". „პარტი". „ა & შ". „ჯი ბი ჯი". „ქარავანი"

საქართველოში ექსპერიმენტის პერიოდში ოფიციალურად აღნუსხული იმპორტირებული სიგარეტის რაოდენობის პროცენტული მაჩვენებელი



აშკარაა, რომ ფირმა „ელიზს" ექსპერიმენტის დასაწყისში (ოქტომბრის თვეში), ისევე, როგორც დეკემბერსა და იანვარში, ერთი ყუთი სიგარეტიც კი არ შემოუტანია საქართველოში:

„ომეგა" - 65,80%
„ელიზი" - 2,48%
(სხვა ფირმები - 31,72%).

არადა, რეალურად, როგორც ფირმა „ელიზის" მესვეურები და ადვოკატები ამტკიცებენ და საბაზრო ვითარებაც ამას ადასტურებს, „ელიზის" მონაცემები 40%-ის ფარგლებში უნდა იყოს.

მაშ, რაშია საქმე, როგორ მოძრაობს დანარჩენი 37%, რაც სახელმწიფოსთვის სრულიად დაფარულია?

სწორედ ეს დაფარული მილიონობით თანხა ხომ არ არის წყარო და დასაყრდენი ფირმა „ელიზისა" და მის ხელშემწყობთათვის.

დაგვერწმუნებით, მიზეზთა გარკვევა უშუალოდ თქვენი კომისიის კომპეტენცია და მოვალეობაა.

იმედია, ახლა მაინც დაინტერესდებით.

**ნინო თალაკვაძე**



# შენ რაღას იტყვი, ჩემო ელენგოლა?

# სანქციის გარეშე - პარლამენტარები ხმას ვერ იღებენ

29 მაისს ფინანსთა მინისტრის შეუცვლელმა მოადგილემ, მირიან მურჯიკნელმა, პარლამენტს გასული წლის ბიუჯეტის ანგარიში წარუდგინა. ჩამოთვალა ძირითადი პარამეტრები. პარლამენტის წევრების აგრესია კი საბაჟოს, თავდაცვის სამინისტროს და გამგებლებს დაატყდა თავზე. ხშირად ისმოდა იაკობიძისა და მარგიანის გვარები. ი.ბათიაშვილმა კი ისიც თქვა, რომ „დღეს ყველამ კარგად იცის, ვინ ვინაა მთავრობაში, მაგრამ ხმას არ ვიღებთ, რადგან ზევიდან სანქცია არ გვაქვს მიღებული". ამ ნათქვამმა პარლამენტარების ტაში გამოიწვია. მირიან მურჯიკნელის ულიმღამო, მონოტონურ გამოსვლას ზაზა სიორიძის არაფრისმთქმელი სიტყვა დაემატა, ხოლო რეზო შავიშვილი თავის გამოსვლაში ისე ოსტატურად ნიღბავდა ციფრებს, რომ მხოლოდ სპეციალისტები თუ მიხვდებოდნენ და არა ათასი ზრუნვით შეჭირვებული პარლამენტის წევრები, რომლებიც გაზეთების კითხვასა და ერთმანეთის საუბარში ერთობოდნენ. ასე რომ, მეხი არ გავარდნილა, რასაც ზოგიერთი აქტიური დეპუტატის გაღიზიანება მოჰყვა, რომლებმაც კითხვები დააყარეს რატომღაც მხოლოდ კონტროლის პალატის თავმჯდომარეს. რეზო შავიშვილმა პასუხად თავისი უწყების გაჭირვება და ის სამუშაო მოიყვანა, რის შედეგადაც ბევრი მაღალი ჩინოსანი სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული, ხოლო ზოგმა კი თავისი სავარძლები დატოვა. საპარლამენტო დრო უწყალოდ გარბოდა. საღამოს 6 საათზე ედუარდ სურმანიძემ მოინდომა სხდომის გაგრძელება, მაგრამ დეპუტატები არ დაეთანხმნენ, რევაზ შავიშვილს სიტყვა შუაში გააწყვეტინეს და სახლებისაკენ გაეშურნენ. ანგარიშის მოსმენა-მიღება განუსაზღვრელი დროით გადაიდო.

**მ.ი.**

# პროკურორმა ასათიანმა თავის მოკვლა სცადა

საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორი ნუგზარ ასათიანი საკუთარ კაბინეტში ცდილობდა თვითმკვლელობით დაესრულებინა საკუთარი სიცოცხლე. მან იარაღი გულში დაიმიზნა და სასხლეტს თითი გამოკრა. სწორედ ამ დროს პროკურატურის შენობაში მიმდინარეობდა საქართველოს მთავარი სამხედრო პროკურორის, ბადრი ბიწაძის პრეს-კონფერენცია. როგორც BGI-ის კორესპონდენტისთვის გახდა ცნობილი, ტრაგედიის მიზეზი გახდა ის, რომ რამდენიმე დღის წინ ნუგზარ ასათიანის ვაჟმა დანით დაჭრა ადამიანი, რომელიც შემდგომ დაიღუპა. თავის სამუშაო ადგილზე ნუგზარ ასათიანმა ვაჟს წერილი დაუტოვა: „როცა გაიზრდები, მაშინ გაიგებ, თუ რატომ მოვიქეცი ასე". ამჟამად, ასათიანი თბილისის პირველი საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაშია. (ბი ჯი აი)

# კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ გადაწყვიტა სარჩელის შეტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ პროტესტი გამოსთქვა 26 მაისს დემონსტრაციის დარბევასთან დაკავშირებით. როგორც BGI-ის კორესპონდენტს საზოგადოების თავმჯდომარემ, ვახტანგ ბოჭორიშვილმა განუცხადა, კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ და საქართველოს ჰელსინკის კავშირმა გადაწყვიტეს სარჩელი შეიტანონ უზენაეს სასამართლოში აღმასრულებელი ხელისუფლების წინააღმდეგ. მათი აზრით, მსგავსი ვანდალური აქტი არ შეიძლებოდა აღსრულებულიყო აღმასრულებელი ხელისუფლების ბრძანების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დარბევის ორგანიზატორები უნდა დაისაჯონ, აღნიშნა ბოჭორიშვილმა. (ბი ჯი აი)

# დსთ-ს ქვეყნების კონსულებმა შეთანხმებათა პაკეტს მოაწერეს ხელი

თბილისში მუშაობა დაასრულა დსთ-ს ქვეყნების საკონსულო სამსახურების საკონსულტაციო საბჭოს მეხუთე ფორუმმა. მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს, უკრაინის, ბელორუსიის, რუსეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ყირგიზეთის და ყაზახეთის დელეგაციებმა. ხელი მოაწერეს დოკუმენტების პაკეტს, რაც ხელს შეუწყობს ამ ქვეყნების ტერიტორიებზე მოქალაქეთა გადაადგილებას. მიაღწიეს შეთანხმებას უკანონო მიგრაციის აღსაკვეთად თანამშრომლობის შესახებ. აღინიშნა, რომ ამისთვის უნდა შეიქმნას აღრიცხვისა და კონტროლის ერთიანი ცენტრი, რასაც არ დაეთანხმნენ უკრაინა და აზერბაიჯანი. (ბი ჯი აი)

# პოლიცია კვლავ ირწმუნება, რომ ხელკეტები ტყუილად არ გამოუყენებია

საქართველოს შსს-მ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ 26 მაისის ინციდენტთან დაკავშირებით (იგულისხმება რუსთაველის გამზირზე მანიფესტაციის დარბევა), ხელისუფლებისთვის მხარის დაჭერის ნაცვლად, საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა უარყოფითად შეაფასეს პოლიციის ქმედება და სამართალდამცავ ორგანოებს კანონის დარღვევაში დასდეს ბრალი. „ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ვითარების პროვოცირებით, დესტრუქციულმა ძალებმა ანარქია გამოიწვიონ", - ნათქვამია საქართველოს შსს-ს განცხადებაში. (ბი ჯი აი)

# „ვისაც ლანძღავს მასმედია...“



სურათზე: (მარჯვნიდან პირველი) მე-5 კურსის სტუდენტი ვახტანგ გოგუაძე წერილისთვის მისადაგებული მინაწერით:
მოქკავშირის ნორჩო კარიერისტებო, თქვენს ასაკში, მიუხედავად აკრძალვისა, ეკლესიას ვაკითხავდი, ახლა აღარ იკრძალება და რა მანქანებით ახერხებთ ეშმაკეულთან უფრო ახლოს ყოფნას, ვიდრე მოყვასის სიყვარულს?

**კომუნისტური** იდეოლოგია ანეკდოტებმა შეჭამეს. უარეს დღეშია პოსტკომუნისტურ-ანტიკომუნისტური იდეოლოგია. პროკრუსტეს რეფორმებმა მილიონობით ადამიანი გააწამა. გაგახსენებთ პროკრუსტეს ბიოგრაფიას: ბერძნული მითოლოგიით ცნობილი ყაჩაღი აკონტროლებდა გზას მეგარასა და ათენს შორის. დაამზადა ორი საწოლი. დიდ საწოლზე დააწვენდა ტანმომცრო მგზავრს. ჩაქუჩით სცემდა, რათა დაეგრძელებინა იგი საწოლის სიგრძემდე. პატარა საწოლზე კი დააწვენდა მაღალ მგზავრს. გადახერხავდა „ზედმეტს“, რომ დაემოკლებინა საწოლის ზომაზე. ო, რა „იუმორი“ ჰქონია იმ შერჩენებულ რეფორმატორს?!

ანტიკომუნისტურმა იდეოლოგიამ კომუნისტებისაგან იმემკვიდრევა პიროვნების რბევის ილეთები, თუმცა იმთავითვე წარუმატებელი. ვისაც ლანძღავდა პრესა, ხალხი საქებრად მიიჩნევდა. ასეა ახლაც. ამას წინათ შესანიშნავად თქვა ზაურ ბოლქვაძემ: „ვისაც ლანძღავს მასმედია, მასის ნდობა მას მეტი აქვს“ (გაზეთი „საქართველო“). ამ მხრივ, ჩვენს პრესაში გაჩალებული ლანძღვის სარეკორდო მოსავალი მაქვს. სხვათაშორის, არც მასის ნდობას ვუჩივი მაინცა და მაინც. გახსოვთ, ალბათ, ზვიად გამსახურდიას ავტორიტეტის აღორძინება დაიწყო გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ლანძღვით. ზოგიერთს ის ლანძღვა საგანგებოდ გამიზნული ჰგონია ახლაც. მე არც ზვიადის გზას ვუმიზნებ და ეს ლანძღვა-გინებაც არ მაშფოთებს დიდად. არც ის გეგონოთ, თავისუფალი პრესის, თავისუფალი სიძულვილის, თავისუფალი ცილისწამების წინააღმდეგი ვიყო. ცენზურას, არდაბეჭდვას ეს სჯობია ბევრად. ეს ყველაფერი იდუღებს, იდუღებს, ბოლოს დადუღდება და დაიწმინდება. ვინც გასალანძღია, გაილანძღება. ავ მლანძღველებსაც ლანძღვა დაუბრუნდება. ზოგიერთი ძველი კომუნისტი (დისიდენტი) მეგობრები შეშფოთებულნი მაფრთხილებენ — რას ნიშნავს, შენს წინააღმდეგ წამოწყებული ეს კომპანია, ფრთხილად იყავი, თუ ძმა ხარო. ნუ გეშინიათ. ამ ყოფნას, აქ ყოფნას, იქ ყოფნა სჯობია, ალბათ. მე კი არა, დიდი ილია წააქციესო ნაცრისფერმა ჟურნალისტებმაო (კარგ ჟურნალისტებს შემოევლოს ჩემი თავი): „ილია ჭავჭავაძეც ნაცრისფერმა ჟურნალისტებმა დაამარცხეს. მით უფრო ტრაგიკული იყო ეს დამარცხება, რომ მის წრეში ერთი კაციც არ აღმოჩნდა, რომელიც მას მიეშველებოდა“ (კონსტანტინე გამსახურდია).

ბატონი კონსტანტინე დიდი ილიას მიწიერ დამარცხებას გულისხმობს, თორემ თუ არა მან, უკეთ ვინ იცის, რომ ილია ჭავჭავაძემ სიკვდილი დაამარცხა და უკვდავება დაიმკვიდრა მანამ, ვიდრე საქართველო იცოცხლებს.

ჩემდამი ლანძღვის თემა ერთადერთია, — პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსი, როგორც მტერი საქართველოსი. თქვენგან განსხვავებით მე არ ვთვლი საქართველოს მტრებად ანტირუსული ორიენტაციის პოლიტიკოსებს. მე მიმაჩნია, რომ ინტელიგენციას, მწერლობას, პოლიტიკოსებს უნდა ჰქონდეთ ორიენტაციის ვარიანტები. წინა პარლამენტში ვარიანტები შესანიშნავად განაწილდა და ეს გახდა საფუძველი იმ დროებითი სტაბილიზაციისა, რაც ახლა სუფევს. არ გინდათ, ნუ გინდათ, თქვენ არ ხედავთ, ზეცა ხედავს, რა მდგომარეობაში იყო 1993 წლის შემოდგომაზე საქართველო. ვინ, რა იდეოლოგიამ მოუტანა საქართველოს ის ნგრევა, იცის ღმერთმა და დროებით დაშინებულ-დამუნჯებულმა ხალხმა. თქვენს სოციოლოგიას ჭეშმარიტებასთან და ხალხთან არა აქვს კავშირი. ეეჰ, ჩემი ლანძღვა რა სათქმელია, ვისა აქვს მაგის დარდი. მეფე ერეკლეს რომ მისწვდებიან, ბეცს ეძახიან, უბღვერენ ილიას საქმეს (მხოლოდ პორტრეტს სცემენ პატივს). „აღვირიენითო“ ჩვენზეც უთქვამს მემატიანეს საუკუნეების წინ. დაიკარგა წინაპართადმი რიდი და კრძალვა. ვინც თავგანწირვით, თავის ტანჯვით მოგვიტანა, მოგვიყვანა, იმათ ვლანძღავთ. ღვთის სასჯელი კიდევ გაგრძელდება. ნურც ვარსკვლავებს დააკვირდებით, ნურც მკითხავებით შეიწუხებთ თავს, დააკვირდით უკუღმართ აზრებს, აზრიც რომ არ ჰქვია, ისეთს. მაშინ კი რაღაცა ხდება არასასურველი. არა ხანდახან, თითქმის ყოველდღე მუხრანის ლექსის ხმა ჩამესმის, გამომაფხიზლებს გულგატეხილობის ზღვარზე მისულს:

„საშველს რომ აღარ
მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი,
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი: —
რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს
თუ გიჭირს! —
რომელი მეფე ერეკლე მე
ვარ!
ანდა რომელი მსაჯული
მისი!
პასუხად მყისვე,
ვითარცა სეტყვა,
ვინც კი და რაც კი
არსებობს ირგვლივ, —
იხუვლებს ხოლმე,
იხუვლებს ერთხმად —
ღალატიაო
მაგვარი
ფიქრი!

გულდასმით, ოღონდ არა გულთან მიტანით, ვკითხულობ ყველა პასკვილს. შუაში გონებაა ჩამდგარი, რადგან ვაკეთებ მის ფსიქოანალიზს: რა უნდა ამის დამწერს, ვინ არის შემკვეთი, რომელ ლაბორატორიაშია დამზადებული... ეს ჩემთვის საინტერესოცაა. რა თქმა უნდა, მე არ ვაპირებ ვუპასუხო ყველას, ყველაფერს. მხოლოდ ზოგიერთს შევეხმიანები. ალბათ, არც ის არის მოულოდნელი, რომ შედარებით რბილად იღრინებიან ხელისუფლების ოფიციალური გაზეთები. ეს აშკარად ჭკვიანურია. კიდევ მეტიც, ორ მათგანს, გულახდილი მადლობა მინდა ვუთხრა. პროფესორ ჯიმი ჯალიაშვილს, თუ არ ვცდები პრეზიდენტის აპარატში მუშაობს, — დავურეკე და ვუთხარი: —მადლობა მინდა გითხრა კრიტიკის კულტურისათვის. თურმე არ ყოფილა სავალდებულო პოლიტიკოსს შევარდნაძე უყვარდეს გოგუაძის სიძულვილის ხარჯზე. თუ ასე ვიკამათებთ, რაღაცას გავაგებინებთ ერთმანეთს. ამგვარი კრიტიკა, მართლაც ქულას აძლევს პრეზიდენტს. ასევე მადლობას ვუცხადებ (პირად საქმეში შეტანით?!) ჩემს ძველ მეგობარს თემურ კვირკველიას „დილის გაზეთში“ დაბეჭდილი სტატიისათვის. იყოს, ბატონო კრიტიკა! პათოსი ასეთია: თავი გაანებე პრეზიდენტის კრიტიკას, ამოუდექი მხარში, გავყვეთ საითკენაც წავაო. რაც შეეხება ჩვენს თვალსაზრისებს, სამწუხაროდ, ჯერ შორი-შორსა ვართ, მაგრამ იცოდეს ყველამ, ვისაც პოლიტიკაზე წერის პრეტენზია აქვს, მტერს რომ ეძებ განსხვავებულ აზრში, ეს ვერაფერ კონსოლიდაციას მოგვიტანს.

სამი-ოთხი წერილი „რუსეთუმე“ გოგუაძის შესახებ საკმაოდ მტრული რისხვითაა დაწერილი, მაგრამ თავისი დონით იმსახურებს პატივისცემას. იდეა ასეთია: გოგუაძე არც აგენტია, არც მაფიოზია, წესიერი კაცია, მაგრამ რად გინდა, ესაა ყველაზე საშიში, რადგან გულუბრყვილოდ სჯერა რუსეთისა და ამიტომ იგი დაღუპავს საქართველოს.

შემიძლია დაგამშვიდოთ: რუსეთი არც ისე გულუბრყვილოა, გულუბრყვილო გოგუაძეს რომ ანდოს საქართველო. თუ ისე წარიმართა, თქვენ რომ გელანდებათ, მაშინ ჟანდარმის როზგი მოგენატრებათ. მე ამ საქმისთვის არ გამოვდგები, იციან ეს რუსებმაც და ქართველებმაც. რატომ აიჩემეს ასე ეს ჩემი უმანკო „გულუბრყვილობა“, მთლად კარგად ჯერ ვერ ამოვხსენი. ისე კი ერთს გეტყვით, გულუბრყვილობა, შილერის აზრით, გენიალობის აუცილებელი კომპონენტია ხელოვნებაში. პოლიტიკაში რა გითხრათ. ახლა კრიტიკოსთა სხვა კატეგორიასაც გადავხედოთ, ეს თუ არ ვცდები, მოქკავშირის იდეოლოგები არიან. გაზეთ „ახალ თაობაში“ დაბეჭდილი უძილაურის წერილიდან: „გოგუაძეს არც კი შერცხვა პრეზიდენტის დადანაშაულება არაეროვნულობაში ისე, რომ არ გახსენებია, ვინ ამოიყვანა იგი არარაობის უკუნეთიდან და სპიკერობა მიანიჭა. მოქალაქეები ირწმუნებიან, რომ გოგუაძის გამარჯვება ისნის რაიონში მათ უზრუნველყვეს და არა ვიცე სპიკერის პოპულარობამ“. ამ სტრიქონების ავტორისაგან ექსსპიკერის ნაცვლად ვიცე-სპიკერის ხსენებაც არ უნდა იყოს კორექტურული შეცდომა. აიღეთ და შეადარეთ აქ გამოქვეყნებული ტერმინოლოგია-ფრაზეოლოგია 30-იანი წლების მძვინვარე კომკავშირელ თავდამსხმელებს პროფესურაზე. ამის შესახებ ცოტა ქვემოთ. ავტორს, ალბათ, ჰგონია, რომ მე ვიუარებ და ვიტყვი, რომ მოქალაქეთა კავშირი არ დამხმარებიაო. დიახ, მოქალაქეთა კავშირმა მართლაც იზრუნა, რომ ხელი არ შეეშალათ ჩემთვის. სხვათაშორის პირველად არ მესმის მოქალაქეთა კავშირის ზოგიერთი წარმომადგენლისაგან ეს დაყვედრება. ეტყობა, ჩემგან მადლობას ელოდებიან. გმადლობთ, ბატონებო! მაგრამ მინდა ისიც იცოდეს ამ ფხიზელმა უძილაურმა, რომ

**მოქალაქეთა კავშირს ეს დაავალა ბატონმა პრეზიდენტმა. ვის რომ დაევალებინა მათთვის გოგუაძეს ნუ შეწვავთ, უმად შეჭამეთო, ალბათ, იზამდით ამას,**

უძილაურნო. კიდევ კარგი, რომ პრეზიდენტი ასეთ დავალებებს არ იძლევა. მე არ მინდა შორს წავიდე და რაც მოქკავშირმა ჩემი კავშირ „თანადგომის“ მიმართ გააკეთა, შეუნდოს ღმერთმა. მარტო სამეგრელოს მაგალითიც გვეყოფოდა. ექს-პრემიერი ბატონი ოთარ ფაცაცია პოლიტიკური კავშირის „თანადგომის“ თანათავმჯდომარე გახლდათ. მაჟორიტარულად მიიღო 31 ათასი ხმა, პარტიას (ე.ი. ჩვენს პარტიას) ათას ასი ხმა ჩაუწერეს. ასევე გააკეთეს ჩემთან.

**მოქალაქეთა კავშირის ნების გარეშე მე არ ვიცი რამდენი დეპუტატი იქნება თავისით, მართლა ხალხის მიერ არჩეული, მაგრამ მე რომ არ ნამხმარებოდნენ, ამ უსახელო და საწყალ კაცს, იმ ოცდაერთი ათასი ხმის ნაცვლად (რაც ალალად მომცა ამომრჩეველმა) მოქალაქეთა კავშირი ჩამიწერდა 21 ხმას.**

პოპულარული ანეკდოტი გაჩნდა იმ დღეებში: ერთ-ერთი დეპუტატობის კანდიდატის ბინის ქვეშ საარჩევნო უბანია. საღამოს გამოუცხადეს სამი ხმა. ჩავიდა კანდიდატი საარჩევნო უბანში და ასეთი დახმარება ითხოვა: ჩემი ოჯახიდან ხმას ვაძლევდით ხუთნი, მე მივიღე სამი ხმა. დამეხმარეთ, გავიგო ვინ მყავს ოჯახში ის ორი მოღალატე, რომელმაც გამაშავა, სხვას არაფერს გთხოვთ. ასე რომ, მოქალაქეთა კავშირი უნდა მალავდეს საარჩევნო ყუთზე აბსოლუტურ უფლებამოსილებას. ვაჟა-ფშაველამ, ალექსანდრე ყაზბეგმა შექმნეს მთის რომანტიკა ჩვენში. ჩვენ გვიყვარს მთის სახელები, მთის გვარები. უძილაურთა გვარის წარმომადგენლებსაც შევხვედრივარ სასიამოვნოდ, მაგრამ ამისთანა გამოუძინებელი უძილაური ნამდვილად არ შემხვედრია. „გოგუაძეს არც კი შერცხვა პრეზიდენტის დადანაშაულება არაეროვნულობაში ისე, რომ არ გახსენებია, ვინ ამოიყვანა იგი არარაობის უკუნეთიდან და სპიკერობა მიანიჭა...“.

„არარაობის უკუნეთიდან“

გაგრძელება მე-5 გვ.

# „ვისაც ლანძღავს მასმედია...“

მელთზე გვერდიდან

ამოყვანილი გოგუაძის მოკლე ბიოგრაფია ასეთია. 25 წლის ასაკიდან ესთეტიკის ლექტორია, დოქტორი, პროფესორი... ათასობით სტუდენტი გამიზრდია, მათ შორის, ალბათ, იყვნენ თითოოროლა უძილაურნიც, მაგრამ ჩვენს ეკლესიაში ორ მღვდელს, ხშირად გაუხსენებიათ – ვახტანგ მასწავლებელო, ოცი წლის წინაც რომ ლექციებს გვიკითხავდით, სულ სახარებაზე რომ გველაპარაკებოდით, მღვდელი რომ გავხდით, თქვენი წილიცაა... აი ასეთი „არარაობის უკუნეთიდან“ ამომიყვანეს!

კომკავშირს სახელი სამკერდე ნიშანმა კი არ გაუტეხა, ყოყლოჩინობამ, კარიერისტობამ, სიკეთის მადიანმა ლანძღვამ, ბრიყვულმა აგრესიულობამ.

## ახალგაზრდას თუ იმაზე მეტი კარიერა მიეცი, რასაც ის ასწევს, ის პოლიტიკურად ირყვნება.

ასეთი იყვნენ 30-იანი წლების კომკავშირლები, მწარე ფურცლებად რომ რჩება ჩვენს ისტორიაში. ერთი ამბავიც: მეოცე საუკუნის ქართული ეკონომიკური აზრის ფუძემდებელი, ივანე ჯავახიშვილის თანამოაზრე, თანამებრძოლი, გაზეთ „ივერიის“ უკანასკნელი რედაქტორი ფილიპე გოგიჩაიშვილი, უნივერსიტეტის მშვენება გახლდათ. კომკავშირმა მიიღო ინსტრუქცია ზემოდან – დაერბიათ ფილიპე გოგიჩაიშვილის ავტორიტეტი. მას გერმანიის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული. „არარაობის უკუნეთიდან“ მოსულ პროფესორს ნორჩმა აგრესორებმა ნამდვილი აუტოდაფე მოუწყვეს. მაგრამ გადარჩა ფილიპე. სამი წლის შემდეგ იმ აქტივისტებს სახელმწიფო გამოცდა აქვთ ბატონ ფილიპესთან.

– აიღეთ, შვილებო, ბილეთები... აიღეს, იფიქრეს, იფიქრეს და სამივე საკითხზე ერთნაირი პასუხი გასცეს მხოლოდ – „არ ვიცი“, „არ ვიცი...“ ბატონი ფილიპე ძალზე დახვეწილი ინტელიგენტი და ვაჟკაცი იყო. – შვილებო, ფარშევანგი თუ იცით. – ვიცით, როგორ არ ვიცით, ფრინველია. – კეთილი, ფარშევანგს, შვილებო, ასეთი თვისება აქვს: ვიდრე რაიმეს გადაყლაპავდეს, უკან მოიზომებს – თუ გამომეტევაო.

მოქკავშირის ნორჩო იდეოლოგებო! ჯობია წიგნი წაიკითხოთ, დაფიქრდეთ და წინ გაიხედოთ. ეტყობა თქვენნაირ მეგობრებზე შემოუთვალა პუშკინმა შევარდნაძეს: „Боже, избавь меня от друзей, а с врагами я сам справлюсь“. როგორ ფიქრობთ, შევარდნაძემ არ იცის, თქვენისთანა მეგობრებს ვჯობივარ თუ არა?

დაბოლოს, ერთი გენიალური ამბავი, ოცი წლის წინათ წალენჯიხაში უამბო ერთმა მეგრელმა ბატონ ედუარდს. არ ვიცი, ეხსომება თუ არა, მაგრამ ახლა კი ჩვენი პრეზიდენტისთვის საინტერესო იგავ-არაკი იქნება, უთუოდ იცინებს.

– აი, იქ რომ ჭაობს ხედავთ, ედუარდ ამბროსიევიჩ, გაზაფხულის დადგომისთანავე ცხენი შედის ნაპირას, მუხლამდე წყალში. განაპირა ბუჩქის ნეკერსა და ძირებში ამოსულ ბალახს ჭამს. ცხენს მაშინვე წურბელები დაესევა, მაგრამ ვითომც არაფერი, არც ცდილობს მოიშოროს. საღამომდე დანაყრდება ცხენი და დაიბერებიან მის სხეულზე წურბელები. შემდეგ ამოდის მინდორზე, ცხენი მძლავრი მოქნევით ერთბაშად ჩამოიფერთხავს დასუქებულ, ჩაპუტკუნებულ წურბელებს. იქნებ დროა, ბატონო პრეზიდენტო...

P.S. დემაგოგების ნაცადი ხერხია, – აი, ჟურნალისტებს გვიტევსო. მე გაზეთ „კომუნისტში“ ვმუშაობდი შტატგარეშე განყოფილების გამგედ, ბატონ გიორგი ბედინეიშვილის რედაქტორობის დროს. ვბეჭდავდი და ვბეჭდავ ჟურნალ-გაზეთებში წერილებს. საკუთარ თავს ვთვლი საშუალო ჟურნალისტად. ეს დიდად საპასუხისმგებლო პროფესიაა. ღმერთმა კალამი უკურთხოს ყველა პატიოსან ჟურნალისტს. ღმერთმა კალამი თოხად უქციოს, ვინც წესიერებაზე უწესოდ წერს.

## დოსტოევსკის ცნობილი რომანის „ძმები კარამაზოვების“ ერთი პერსონაჟი ქალბატონი ამბობს: „ძალიან მიყვარს კაცობრიობა, მაგრამ სათითაოდ ადამიანებს ვერ ვიტანო“. მე პირიქითა ვარ. მოქალაქეთა კავშირს ვერ ვიტან, მაგრამ მისი წევრების მიმართ არა მაქვს გართულება.

ბევრი მათგანი ჩემი მეგობარიცაა. ჩემს კრიტიკოსებს ყველას ვუსურვებ გაემართლებინოთ კანტის სიტყვები: „არასოდეს არ არის გვიან, გავხდეთ ბრძენნი“.

**ვახტანგ გოგუაძე**

საქართველოს პარლამენტის წევრი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ესთეტიკოსი

# უნივერსიტეტის მშიერი თანამშრომლების ხარჯზე სურთ ჩინოვნიკების გასუქება?

# საით მიდის ჩემი სამშობლო?

*მოაზროვნე ადამიანს უეჭველად ახლავს ფიქრი. ზოგჯერ აუცილებელია ამ ფიქრის სხვათათვის გამჟღავნება არა მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანს აზრის გაზიარების მოთხოვნილება აქვს, არამედ იმიტომაც, რომ ნაფიქრალს შემზარავი დასკვნა ახლავს, შემზარავი ერისთვის და ქვეყნისთვის. ამან ამაღებინა კალამი, თორემ განათლებით ფილოლოგს პოლიტიკური მიმომხილველის პრეტენზია, რა თქმა უნდა, ვერ მექნება.*

*უთვალავი სატკივარი სჭირს საქართველოს, მაგრამ, თუ გვექნება გააზრებული, რა სტკივა, ვინ და რა არის ტკივილის მიზეზი, შემდეგ იქნებ ის ძალაც მოიძებნოს, რომელიც მკურნალობას შეძლებს. დაავადების ჩამოთვლით თავს არ შეგაწყენთ, – ეს ყველასათვის ნათელია, მხოლოდ ერთი საკითხის გაანალიზება მსურს.*

ომის კანონი ასეთია: ტერიტორიის ოდენ ხმლით დაპყრობა ადვილია, მაგრამ დაპყრობილის შენარჩუნებაა ძნელი, თუ წარმოუდგენელი არა, ამისათვის იდეოლოგიური ბრძოლის სწორად წარმართვა და ამ ბრძოლაში გამარჯვებაა საჭირო. რაც მოგახსენეთ, ქრესტომათიული ჭეშმარიტებაა და ჭკვიანი მტერი სწორედ ამ მეთოდს მოიმარჯვებდა ხოლმე. მტერი იმის მტერია, რომ მტრობა ჩაიდინოს. საქართველოს დღევანდელ სიტუაციას რომ ვხედავ, მტრის საძებნელად შორს წასვლა არ მიწევს, სწორედ ესაა შემზარავი.

ეროვნულობას სამი ბურჯი აქვს: მამული, ენა, ეროვნული სკოლა (იგოგებაშვილი); ენა, მამული, სარწმუნოება (ილია). ბოლო წლებში განათლების სფეროში არსებული უმძიმესი სიტუაცია არც მცოდნე კაცის მიერ დაშვებული უნებლიე შეცდომა მგონია (ასეთი კვალიფიკაციაც ხშირად ისმის) და არც უცოდინრობის შედეგი. მთავრობა, რომელსაც თავის ქვეყანაში ეროვნული სულისკვეთების გაღვივება სურს, ამ საკითხს იოლად მოუვლიდა.

საქართველოს მეცნიერების წინააღმდეგ ამჟამად დაწყებული კამპანიაც ერის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლად აღიქმება.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ერთი წლის წინ ასეთი ბრძანება მოვიდა: უნივერსიტეტის თანამშრომელთა რიცხვი უნდა შემცირდეს 30 პროცენტით. მაშინ უნივერსიტეტმა გაიღო ასეთი მსხვერპლი. ამჟამად კვლავ გაისმა ბრძანება: მაისის ბოლომდე უნივერსიტეტი უნდა დატოვოს თანამშრომელთა ათმა პროცენტმა, ხოლო ამ შემოდგომაზე – კიდევ ოცდაათმა პროცენტმა. ასეთი ღონისძიება ახსნილია ბიუჯეტის სიმწირით.

საანალიზოდ ავიღოთ უნივერსიტეტის სამეცნიერო ლაბორატორია „ორიონი“, რომელიც ძველ ქართულ ხელნაწერებს სწავლობს, და ამის მაგალითზე ვნახოთ, რას წააგებს ქვეყანა მისი ლიკვიდაციით და რას მოიგებს ბიუჯეტი. ამ ლაბორატორიაში მუშაობს 11 ადამიანი 9,5 შტატზე და თვეში მათი ხელფასის ჯამი შეადგენს 126 ლარს. ეს უხელფასო, ნახევრად მშიერი ადამიანები შიშველი ენთუზიაზმით, მიზერული ხელფასით უნივერსიტეტის გაყინულ კედლებში სხედან და დიდ ეროვნულ საქმეს აკეთებენ: ბოლო ორი წლის განმავლობაში დაისტამბა რვა წიგნი და ერთი ამდენიც გამოსაცემად აწყვია სეიფებში კეთილი სპონსორის იმედით; დაიბეჭდა მრავალი სტატია. ამ ლაბორატორიის თანამშრომელთა სამეცნიერო დონე იმდენად მაღალია, რომ მიიპყრო უცხოელთა ყურადღება და ზოგი მათგანი საზღვარგარეთ მიიწვიეს სამუშაოდ. ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ცნობილი სწავლული, პროფ. მზექალა შანიძე. ისიც უნდა დავსძინოთ, რომ გამოქვეყნებული წიგნების ჰონორარს თანამშრომლები ვერ აიღებენ, რადგან დღევანდელ საქართველოში წიგნის მკითხველს მისი საყიდელი ფული არა აქვს.

იგივე ითქმის უნივერსიტეტში არსებულ ყველა სამეცნიერო ლაბორატორიაზე.

დასკვნა ნათელია: 126 ლარი ბიუჯეტს ვერაფერს შესძენს, მაგრამ სამეცნიერო ლაბორატორიების შემცირება და საბოლოოდ მათი ლიკვიდაცია, როგორც ეს მთავრობას ჩაუფიქრებია, ეროვნულ საქმეს გაანადგურებს.

ასეთი დასკვნის გაკეთება ძნელი არ არის და არც ის მგონია, რომ ბრძანებების ორგანიზატორებს გაუჭირდეთ. ჩვენი დაკვირვებით საკითხის არსი სხვა უნდა იყოს.

ამჟამად არსებული მთავრობის პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ შეიქმნას ისეთი წყობილება, რომელიც მხოლოდ მთავრობის ელიტარულ წრეს მოემსახურება. ეს ელიტარული წრე ჯერ შეიქმნა (ეს მოხდა თბილისის ომის შემდეგ), პარლამენტისა და პრეზიდენტის მეორე არჩევნების შემდეგ კი გაძლიერდა და საოცრად გამდიდრდა იმ ქვეყანაში, რომელიც არაფერს აწარმოებს და მხოლოდ სესხს იღებს უცხოეთიდან. დანარჩენი საქართველო გაღატაკდა ეკონომიურად და ღატაკდება სულითაც, რადგან მშიერი საზოგადოება მხოლოდ არსებობისთვის იბრძვის – ეს ბუნების კანონია. აქა-იქ შემორჩენილი მოჰიკანები, რომლებიც ჯერაც არსებობენ სამეცნიერო თუ სასწავლო დაწესებულებებში, სასტიკი კანონების შედეგად რეპრესირებულნი იქნებიან. ყველაფერი, მათ შორის განათლებაც და სიცოცხლის უფლებაც, ღირს ფული, ესე იგი ეს ფუფუნება მხოლოდ ელიტარული წრისთვის არის ხელმისაწვდომი და საზოგადოების დანარჩენი ნაწილი განწირულია.

სახელმწიფო არ მოემსახურება და არც ემსახურება თავის მოქალაქეს; ის არ დაიცავს და არც იცავს მის ინტერესებს, ამისი მაგალითი უთვალავია და მათ შორის – კამპანია საქართველოს სამეცნიერო ინტელიგენციის წინააღმდეგ.

გერჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობა საკუთარ ხალხს ებრძვის, რათა თვითონ დამკვიდრდეს. ასეთ პირობებში წარმოუდგენელია დაკარგული ტერიტორიების აღდგენა, პირიქით, უფრო მოსალოდნელია არსებული ტერიტორიების ფედერაციულ ერთეულებად დაყოფა, ერიც ღირებულს ბევრს ვერაფერს შექმნის, რადგანაც სამაგისოდ საჭიროა მოწესრიგებული სოციალური და პოლიტიკური პირობები და ეროვნული სულისკვეთება.

ვამთავრებ წერილს იმის იმედით, რომ იქნებ ვინმემ საწინააღმდეგოში დამარწმუნოს და საქმიანი სიტყვა (საქმიანი სიტყვა!) თქვას. მე ბედნიერი ვიქნები, თუ ბოდიშის მოხდა მომიწევს.

**ლილი ბასილაია.**

ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

## საფრანგეთი არჩევნებისთვის ემზადება

1 ივნისს საფრანგეთში გაიმართება საპარლამენტო არჩევნების მეორე ტური. არჩევნებში გამარჯვების მეტი შანსი აქვს მმართველ მემარცხენე პარტიას. მოელიან, რომ ეს პარტია პარლამენტში დაიკავებს 285 ადგილს, ხოლო მემარჯვენე – 250.

## „თალიბანი“ ითხოვს

ავღანეთის მოძრაობა „თალიბანი“-ს ხელმძღვანელობა მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას აღიარონ ისინი ავღანეთის კანონიერ მთავრობად. ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, თალიბების მხრიდან, გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გამოთქმულია თხოვნა ადგილი მისცენ მათ გაეროს შემადგენლობაში. განცხადებაში ნათქვამია, რომ მოძრაობა არ გაერთიანდება სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში.

## დიქტატორი 75 წლისაა

ინდონეზიაში საყოველთაო საპარლამენტო არჩევნები გაიმართა. წინა საარჩევნო კომპანიის დღეები სისხლიანი აღმოჩნდა. გამოსვლების დროს 250-მდე ადამიანი დაიღუპა. ქვეყანას 30 წელია პრეზიდენტ სუჰარტის ავტორიტარული რეჟიმი მართავს. დიქტატორი ახლა 75 წლისაა. მისი მხარდამჭერი კოალიციის წარმატება არჩევნებში წინასწარ არის დაგეგმილი და გადაწყვეტილი.

## ოლბრაიტი შეწყვეტს მხარდაჭერას

ჰააგაში სამხედრო ტრიბუნალის მონახულებისას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა მადლენ ოლბრაიტმა განაცხადა, რომ შეწყვეტს სერბიისა და ხორვატიის მხარდაჭერას თუ ამ ქვეყნების ლიდერები არ იაქტიურებენ სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ბოსნიაში ჩადენილ სამხედრო დანაშაულში არიან ეჭვმიტანილნი.

• დღიურები

# რევაზ მიშველაძე

# ხუთი მრისხანე წელი

## ჩემი წუთისოფლის ბილიკებზე

### ქორიძეს მაგარი სილა გავაწანი

**17/VII — 24/VII.91 წ.**

ვიცოდი, 13 ივნისის და 13 ივლისის „ცხოვრება“ უკვალოდ რომ არ ჩაივლიდა, მაგრამ ამდენ ლანძღვა-გინებას ნამდვილად არ ველოდი.

19 ივლისს „ლიტ.საქართველო“ დამესხა თავს, როგორ გაბედე და ზვიად გამსახურდიას შენიშვნა როგორ მიეციო.

ჩმახავენ რაღაცას, ცილს მწამებენ, როგორც შეუძლიათ.

პროზაიკოსი (?!) გურამ სხირტლაძე მესხმის თავს.

ახლა იხსენებენ ზვიადთან სიახლოვეს. ზვიადს მე შენიშვნები შევკადრე, მეტი არაფერი.

მუხრან მაჭავარიანი, გურამ ფანჯიკიძე, ლაქია ენვერ ნიჟარაძე რაღამ გაანაწყენა? გურამმა მაინც როგორ მოაწერა ხელი წერილს ჩემს წინააღმდეგ?

ზვიადს იცავენ ჩემგან?

იმ სამდივნოში ერთადერთ კაცს გურამს ვენდობი. არ მჯერა, რომ გამწირავდა.

ვუპასუხე, თუ გაბედა და დაბეჭდა სოსო სიგუამ.

**24/VII.91 წ.**

23/VII – „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემი წერილია.

კიდევ რამდენიმე შენიშვნას ვუმატებ ახალ ხელისუფლებას.

ისევ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემზე აღვირახსნილი გინებაა.

თემურ ქორიძე უნიჭოს, გამოგონილ მწერალს და მტრულ ბანკში გადაბარგებულს მიწოდებს.

მივიტანე დღესვე გაზეთში განცხადება: „ხელს ვიღებ მწერლობაზე, თავზე ნაცარს ვიყრი და ვთხოვ ქორიძეს მირჩიოს – რა გზას დავადგე–მეთქი“.

შეიძლება დაბეჭდონ ეს ირონია?

ყველაზე კარგი პასუხი ეს იქნება.

აბა, ქორიძესთან სერიოზულ კამათს ხომ არ ვიკადრებ.

**25/VII — 1/VIII.91 წ.**

24 ივლისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ ჩემი განცხადებაა. თ.ქორიძეს ვპასუხობ, მწერლობას თავს ვანებებ და მირჩიე, როგორ მოვიქცე–მეთქი.

ხარხარებდა მთელი საქართველო.

ამ ირონიით საკმაოდ მაგარი სილა გავაწანი ქორიძეს.

ქორიძემაც არ „დააყოვნა“ და 25 ივლისსვე „მიპასუხა“.

კარგად გადაგიწყვეტიაო.

31 ივლისს „ცხოვრებაში“ ჩემზე შალვა ამონაშვილის წერილია – „მკითხველის საპროტესტო წერილი თეიმურაზ ქორიძეს“. ჩემს დასაცავად დაწერილი ეს წერილი სასიამოვნო მოულოდნელობა იყო.

ერთი კაცი მაინც გამომიჩნდა დამცველი.

ეუბნება ქორიძეს, ოცდაჩვიდმეტი წლის კომუნისტების მეთოდებით მოქმედებთო.

30 ივლისის „საქართველოს რესპუბლიკაში“ „ღიმილის“ რეკლამაა და ჩემთან საუბარი.

მეკითხებიან, მწერლობას თავს მართლა ხომ არ ანებებთო.

როგორ გეკადრებათ–მეთქი.

**2/VIII — 25/VIII.91 წ.**

ცხელი აგვისტო.

სამი ახალი ნოველა დავწერე. მათ შორის ერთ-ერთს – „მესამე საყვედურის მოლოდინში“ – დავაწერე: „ეს ნოველა თეიმურაზ ქორიძეს არ ეძღვნება–მეთქი“ (სინამდვილეში სწორედ მასზე და მის „დაცვაზეა“ დაწერილი).

9–18 აგვისტოს მახინჯაურში ვიყავი. დასასვენებელ სახლ „ნარინჯში“ ლექციებს ვუკითხავდი მასწავლებლებს; როგორ უნდა ასწავლონ თანამედროვე ქართული მწერლობა.

ვიყავი ფოთის წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატის გახსნაზე.

ჩემგან ათიოდე მეტროში მთავრობის ლოჟაში იჭიმებოდა ზვიადი. რასაკვირველია, თვალი ამარიდა. მეც არ წავწეულვარ...

დიდი პატივი გვცეს ფოთელმა მწერლებმა კუკური კუკულაძემ და მერაბ ასანიძემ. აღფრთოვანებით მეუბნებოდნენ: ბატონო რეზო, თქვენს მხარეს ვართო.

18–ში დავბრუნდი თბილისში და 19–ში მოსკოვში შეთქმულება მოხდა გორბაჩოვის წინააღმდეგ.

იანაევის ბანდამ აიღო ძალაუფლება.

20–ში „საქართველოს რესპუბლიკაში“ მივიტანე წერილი, სადაც ვამბობდი, კომუნისტების აღორძინება არ დავუშვათ–მეთქი. მაგრამ არ დაბეჭდეს. რატომ? რედაქტორმა ჯერ ზვიადის პოზიცია გაურკვეველიაო, ჩემი ხომ გარკვეულია–მეთქი. რატომ არ მაძლევთ თავისუფალ მწერალს ტრიბუნას–მეთქი?

მოსკოვი გაერთიანდა ელცინის ირგვლივ და მოხდა სასწაული – შეთქმულება დამარცხდა. გორბაჩოვი (ბრიყვი გორბაჩოვი!) ისევ იმპერატორია. ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს.

მე ვფიქრობ, სწორად მოიქცა ზვიადი, როცა არც იანაევის მხარე დაიჭირა და არც გორბაჩოვის.

გორბაჩოვს ჩვენთვის ხეირი არ დაუყრია და მოსკოვში საიმპერატორო დუელი ჩვენ ისე უნდა აღვიქვათ, როგორც სხვა სახელმწიფოს პრობლემები.

ეჭვი მაქვს, თვით გორბაჩოვი ხომ არ იყო მე–9 შეთქმული მის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში.

ელცინმა რუსეთში შეაჩერა კომპარტიის საქმიანობა, დღეს (25/VIII) გორბაჩოვმა მოაწერა ხელი კომპარტიის საქმიანობის შეჩერებაზე მთელს სსრკ–ში.

სწორია. აქამდე უნდა მომხდარიყო. მსოფლიოში არ არსებობს კომუნისტურზე უფრო დანაშაულებრივი პარტია.

26–ში მოსკოვშიც და თბილისშიც დანიშნულია სესიები. საინტერესო ამბები მოხდება.

### შიში თუ მანევრი?

**26 — 29/VIII.91 წ.**

რევოლუცია გრძელდება.

საბჭოთა კავშირი თითქმის დაიშალა.

უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

გორბაჩოვმა კომპარტია ლიკვიდირებულად გამოაცხადა და პირველი მდივნობიდან გადადგა.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ მინისტრად შევარდნაძე მოითხოვა, მაგრამ გორბაჩოვმა და ელცინმა პანკინი დანიშნეს.

ზვიადის ავტორიტეტი დღითიდღე ეცემა.

გაირკვა, რომ შეთქმულების დღეებში მას მიუმართავს პატრიკეევისთვის (საქართველოს სარდალი), იანაევის მხარეზე ვარო. თუ ჩვენთან ხარ, გვარდია გააუქმეო, სარდალს შეუთავაზებია, რაზეც ზვიადი დათანხმებულა.

ზვიადმა თურმე საქართველოს სხვადასხვა პარტიათა ლიდერებს ნება არ მისცა იმ დღეებში შეთქმულთა წინააღმდეგ გამოსულიყვნენ.

რა არის ეს? შიში თუ მანევრი?

ჩემი ორგვერდიანი წერილი, რომელიც 20 აგვისტოს „საქართველოს რესპუბლიკაში“ მივიტანე, რომ დაებეჭდათ, ხომ გადავერჩებოდით ამ სირცხვილს?

ხომ მქონია სწორი პოლიტიკური ალღო?

როგორ მწყდება გული, რომ ზვიადს ზოგი რამ არც თვით ესმის და არც ჭკვიანი მრჩეველი უდგას გვერდით.

### მოქალაქეებს აქეზებენ...

**30/VIII — 25/IX.91 წ.**

დემოკრატიული რეფორმებისთვის მებრძოლი ოპოზიციის წინააღმდეგ ზვიადმა ერთ თვეში (2 და 21 სექტემბერს) ორჯერ გამოიყენა შეიარაღებული რაზმები.

საშინელებაა, რაც თბილისში ხდება.

ზვიადმა ქართველი ერი ორად გაჰყო და ერთმანეთს დაუპირისპირა.

საქართველო განსაცდელის წინაშე დადგა.

ოპოზიცია გამაგრდა უნივერსიტეტის, ცირკის, ტელევიზიისა და ფილარმონიის შენობებში.

გულუბრყვილო, პოლიტიკაში გაუცნობიერებულ მოქალაქეებს აქეზებენ, გაუსწორდით ქართულ ინტელიგენციასო.

რა ხდება?

### წერეთელმა — ზვიადის დასამხობად წავიდეთო!

**26 — 30/IX.91 წ.**

აიღეს შავნაბადა.

კიტოვანმა გვარდია ტელევიზიის შენობაში შეხიზნა. იქაა სიგუაც.

ახლა ოპოზიცია მხოლოდ ტელევიზიის შენობაშია.

26 სექტემბერს ირაკლი წერეთელმა დღის 1 საათზე გამოაცხადა: 4 საათზე შევიკრიბოთ და ზვიადის დასამხობად წავიდეთო.

მაშინვე ავვარდი კიტოვანთან და სიგუასთან; იქ იყო ირაკლიც, ეს არ ჩაიდინოთ, სისხლი დაიღვრება, ხომ არ გაგიჟდით–მეთქი. უზენაესი საბჭოსკენ წასულ ხალხს ტყვიას დაუშენენ და სწორიც იქნებიან, თავდამსხმელები თქვენ იქნებით–მეთქი.

დამიჯერეს და უარი თქვეს ამ ნაბიჯზე.

როგორც ვატყობ, ესენიც დაბნეულები არიან, ვერ გადაუწყვეტიათ, რა გააკეთონ.

მე მოვითხოვ ეროვნული ყრილობის ჩატარებას, იქ საბუთიან მსჯელობას.

სხვა ნაბიჯი (დამხობა, გადმოგდება) დამღუპველია.

ვურჩიე ეს ოპოზიციის ლიდერებს, თავს მიქნევდნენ, მაგრამ საქმე არ ჩანს.

– ამასობაში ზვიადი ყოველ საღამოს ოპოზიციის წარმომადგენლებს ბანდიტებად აცხადებს.

გადადგომაზე არც ფიქრობს.

კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა გადადგეს?

### მანქანის მართვის მოწმობას უნდა „ფსიხოს“ ცნობა და ქვეყნის მართვას არა?

**1/X.91 წ.**

ინტერვიუ მივეცი ინგლისის ტელევიზიის წარმომადგენელს.

ვთქვი, რომ პრეზიდენტის ძალით გადაყენების მომხრე არა ვარ. არ ვემხრობი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც – ქართული ერი შუაზე გახლიჩეს და ერთმანეთს დაუპირისპირეს–მეთქი.

ვესაუბრე ვაჟა ადამიას (რუსთაველის ძეგლის უკან, მერაბ კოსტავას ეზოში), რომელსაც საქართველოს რადიო ყოველ ათ წუთში ბანდიტად აცხადებს.

თუ ძმა ძარ, პროვოკაციას არ წამოეგო, ხალხს ტყვია არ ესროლო–მეთქი.

არაო, ბატონო რეზო, მე მხოლოდ თავდაცვის მიზნით მაქვს ეს იარაღიო.

ხომ ხედავთ, მთელი ინტელიგენციის დაჭერას აპირებენო.

მანქანის მართვის მოწმობას უნდა „ფსიხოს“ ცნობა და ქვეყნის მართვას არა? რატომ არ მოვითხოვეთ ჯანმრთელობის ცნობა, ზოგიერთს როცა ვირჩევდით?

### დავადგინეთ, უნდობლობა გამოეცხადოს მ.მაჭავარიანს

**2/X.91 წ.**

გუშინ მუხრან მაჭავარიანმა მწერალთა კავშირი დაკეტა.

2 საათზე სათათბიროდ შეკრებილი მწერლები შენობაში არ შეგვიშვეს და იძულებული გავხდით, მიტინგი ქუჩაში ჩაგვეტარებინა.

გამოვედით: გ.ფანჯიკიძე, თ.წივწივაძე, მე, ნ.შატაიძე, ზ.კალანდია, თ.მაღლაფერიძე, ანზ. სალუქვაძე, ა.ვასაძე, ჯ.თითმერია, ნ.კობერიძე, ნ.გაბრიჩიძე, დ.მჭედლური, კ.იმედაშვილი და სხვები.

დავადგინეთ: უნდობლობა გამოეცხადოს მ.მაჭავარიანს.

სასწრაფოდ დაიწყოს მოლაპარაკება დაპირისპირებულ მხარეთა შორის.

მოწვეულ იქნას ეროვნული ყრილობა, რომელიც განიხილავს საქართველოს ხელისუფლების ბოლო თვეების საქმიანობას.

მოვუწოდეთ სხვა შემოქმედებით კავშირებს, გამართონ ანალოგიური მიტინგები.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48,49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აფეთქებაში საქართველოს სპეცსამსახურებს ადანაშაულებენ

„ინტერფაქსის" ცნობით, 29 მაისს, დილით სოხუმში, სამშვიდობო ძალების შტაბთან ახლოს მდებარე მაღაზიაში აღმოაჩინეს ასაფეთქებელი მოწყობილობა. აფეთქება ნაშუადღევისთვის იყო დაგეგმილი, როცა შტაბში საწვავით სავსე ავზი უნდა მიეტანათ. ნაღმი უვნებელყვეს, მაგრამ 13,45 სთ-ზე კომკავშირის ქუჩაზე სხვა ნაღმი აფეთქდა. დაიღუპა ერთი გამვლელი. აფხაზეთის უშიშროების სამსახურის უფროსის, ასტამურ ტარბას განცხადებით, აფეთქებები საქართველოს სპეცსამსახურების მიერაა ინსპირირებული. (ბი ჯი აი)

## რუსეთს მიაჩნია, რომ საქართველომ უკვე მიიღო საკუთარი წილი შავი ზღვის ფლოტიდან

საქართველოს პრეტენზიები არ უნდა გააჩნდეს შავი ზღვის ფლოტის ნაწილზე, რადგან ამ საკითხებით ჩვენ და უკრაინა ვართ დაკავებულნი, – განაცხადა 29 მაისს რუსეთის საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტიში" გამართულ პრესკონფერენციაზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ბორის პასტუხოვმა. რუსეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის ცნობით, პასტუხოვმა განაცხადა, რომ უკრაინამ უკვე გადასცა საქართველოს გემების ნაწილი საკუთარი წილიდან. (ბი ჯი აი)

## ბოძების შესწავლა შეიძლება, მილიონების დაბრუნება კი რთული საკითხია

საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას საქმესთან დაკავშირებული პროცესი 9 ივნისისთვის გადაიტანეს. გადავადება მოითხოვეს საქმეზე გამავალი ორი მოპასუხის ადვოკატებმა. ამ დროის მანძილზე მოპასუხეები საქმის 11 ტომს უნდა გაეცნონ. როგორც ცნობილია, საქმეზე გამავალთ ბრალად ედებათ სახელმწიფოსთვის ზარალის მიყენება, როგორც მინიმუმ, 15 მილიონი დოლარის ოდენობით. – საიდან მე 15 მილიონი, შადმან ვალაევი ხომ არ ვარ? – განაცხადა ერთ-ერთმა მოპასუხემ. (ბი ჯი აი)

## ედუარდ შევარდნაძემ ჩეჩნეთის დელეგაცია მიიღო

29 მაისს ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ჩეჩნეთის დელეგაცია, რომელსაც ჩეჩნეთის უშიშროების საბჭოს მდივანი, კულტურის მინისტრი ახმედ ზაკაევი ხელმძღვანელობს. იმავე დღეს შეხვედრის შედეგებთან დაკავშირებით ბრიფინგი გაიმართა. აღინიშნა ორ ქვეყანას შორის მეგობრული კავშირების აღდგენის აუცილებლობა. ჩეჩნეთის დელეგაციის წევრთა განცხადებით, საქართველოში მცხოვრებ ქისტებს ყოველნაირ დახმარებას უწევენ. ახმედ ზაკაევმა აღნიშნა, რომ განვითარება სჭირდება ედუარდ შევარდნაძის ინიციატივას „მშვიდობიანი კავკასიის" შესახებ, რადგან მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობა დაინტერესებულია სტაბილურობით კავკასიაში. (ბი ჯი აი)

● წიგნიდან „სუკი და ძალაუფლება"

# ზეიმზე სტალინმა რუსი ხალხის სადღეგრძელოში ასეთი სიტყვები თქვა...

## ფილიპ ბობკოვი

იყო ასეთი შემთხვევებიც. 1947 წელს ჩატარდა რსფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნები. მოსკოვის სტალინის სახელობის რაიონის საარჩევნო კომისიამ იჩქარა და განაცხადა, რომ იოსებ ბესარიონის ძე ერთხმად იქნა არჩეული. და ამ დროს მოდის წერილი: „არა, ერთხმად არ აურჩევიათ. პირადად მე ხმა არ მივეცი".

და დაიწყო. მანქანა ამუშავდა. როგორ?

...როგორ? სტალინის წინააღმდეგ გამოსვლა? კიდევ კარგი, რომ ეყოთ ჭკუა, არ დაეპატიმრებინათ ეს გულწრფელი და პატიოსანი ადამიანი, თვით ის თავის ქცევას ასე ხსნიდა: „მე ვიცოდი, რომ პურის ბარათები 1946 წელს არ გაუქმდებოდა, ეს სტალინმაც იცოდა. მაშ რატომ თქვა მან 1946 წლის თებერვალში, რომ ბარათები გაუქმდებოდა? არც გაუქმდა. შეუძლებელის შეპირება არ არის საჭირო. მეც ავდექი და გადავხაზე".

ერთ-ერთ საქმესთან დაკავშირებით მე მომიწია იმ პირთა ჩვენებების გამოყენება, რომლებიც 1937 წელს იყვნენ გასამართლებულნი. ჩემმა უფროსმა კოლეგამ, გამოცდილმა ოპერატიულმა მუშაკმა, როდესაც ამ ამბავმა მის ყურამდე მიაღწია, გამაფრთხილა:

– ფილიპ, შენთვის უკეთესი იქნება, თუ არ ჩაეჩრები ოცდაჩვიდმეტი წლის მასალებში. იქ ბევრი უზუსტობაა დაფიქსირებული დადგენილი ფაქტების მნიშვნელობით.

ეს ყველაფერი მან თქვა მშვიდად, თითქოს რაღაც ყოველდღიურ მოვლენაზე ლაპარაკობდა. როგორი მოსასმენი იყო ყოველივე ეს ჩემთვის, ოცი წლის ბიჭისათვის, რომელსაც სჯეროდა თავისი მოვალეობის პირნათლად შემსრულებელი ჩეკისტების კრისტალური სიწმინდისა! ამ შემთხვევამ ბევრ რამეზე დამაფიქრა. მცირედ ის მამშვიდებდა, რომ ყველა პარტიულ, სამთავრობო და უწყებრივ დოკუმენტში მოგვიწოდებდნენ კანონიერების დაცვისაკენ.

დიდ იმედებს გვისახავდა სტალინის სიტყვებიც, რომელიც მან წარმოთქვა ომის შემდეგ. ერთ-ერთ საზეიმო შეხვედრაზე სტალინმა რუსი ხალხის სადღეგრძელოში ასეთი სიტყვები თქვა: „ჩვენს მთავრობას მრავალი შეცდომა ჰქონდა... ხალხს შეეძლო ეთქვა: თქვენ ვერ გაამართლეთ ჩვენი იმედები, წადით..." ბევრმა ეს სიტყვები გაიგო, როგორც რეპრესიების უკანონობის აღიარება, დაიჯერეს, რომ ასეთი განცხადების შემდეგ ოცდაათიანი წლების ტრაგედია აღარ განმეორდებოდა.

შიში, რომ ისევ არ შემოტრიალებულიყო რეპრესიების პრაქტიკა, თითქოს საბოლოოდ გაჰქრა სკპ (ბ) ცკ-ს მდივნის ა.ა. კუზნეცოვის სუს-ის მუშაკთა პარტაქტივის კრებაზე გამოსვლის შემდეგ. ლენინგრადის პარტიის საოლქო კომიტეტის ყოფილმა მდივანმა ომის წლებშივე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა. ამჯერად მას დაავალეს ადმინისტრაციული ორგანოების, მათ შორის სუს-ის კურირება.

კარგად მახსოვს მისი მგზნებარე გამოსვლა. კუზნეცოვი გატაცებით მოგვიწოდებდა კანონიერების დაცვისაკენ. ყოველთვის მხედველობაში გვქონდა, რომ სახელმწიფო უშიშროების ორგანოები თავის მუშაობაში კრისტალურად წმინდა უნდა ყოფილიყვნენ ადამიანების, მათი უფლებების მიმართ. ვფიქრობ, ასეთი გამოსვლა, მცირედი შესწორებებით, იგივე დამაჯერებლობისა და აქტუალურობის მატარებელი იქნებოდა. ვინ იცის, იქნებ სწორედ ეს გამოსვლა იყო იმ დროს იმის მიზეზი, რომ ეს ნიჭიერი, ჭკვიანი ადამიანი რეპრესიების მსხვერპლი გამხდარიყო, საიდანაც მას ცოცხლად გამოსვლა არ ეწერა.

მთელი ჩემი დრო მძიმე შრომით იყო შევსებული, რომელსაც ომისდროინდელი ბეჭედი ჯერ კიდევ ეტყობოდა. ძირითადად მიხდებოდა ყოფილი ჯალათების საქმეების წარმოება, ვინც ოკუპირებულ ტერიტორიებზე ფაშისტების მითითებით მოქმედებდნენ, ანდა მოღალატეებისა, ვინც ზურგში მოქმედებდნენ.

საქმეებში ხშირად იმათი თემაც გაიელვებდა ხოლმე ვინც თავს უფლება მისცა ანტისაბჭოური გამოთქმებით მიექცია ყურადღება, ბელადის ან საბჭოთა წყობილების კრიტიკას აწარმოებდა. როდესაც იმ დროს ვუკვირდები, ვფიქრობ, ბევრი რამე სხვაგვარი პოზიციიდან იყო გაგებული, არა მხოლოდ იმ აზრით, რომ ეს მოვლენები საზოგადოებამ გაკიცხა, არამედ იმიტომ, რომ დროთა განმავლობაში გამოჩნდა, თუ რამდენი ბოროტება მოუტანეს მათ ხალხს. მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. ჩვენ პატიოსნად ვემსახურებოდით მამულს და ეჭვი არ გვეპარებოდა ჩვენი გზის სისწორეში.

### „ცივი ომი"

„ცივმა ომმა", ფულტონში ჩერჩილის სიტყვის შემდეგ რომ დაიწყო, მოითხოვა სიფხიზლის ამაღლება. მაგრამ ამასთან ერთად მრავალი ცუდი გადახრა გამოიწვია. დაიწყო მტრების ძიება იქ სადაც ისინი არ იყვნენ. არც მაშინ და არც შემდგომ წლებში, რამდენიც არ ვიფიქრე და გავარჩიე იმდროინდელი მდგომარეობა, ვერ ვიპოვე ძველებური რეპრესიებისკენ დაბრუნების საფუძველი ტროცკისტების წინააღმდეგ. და მაინც სრულიად მოულოდნელად წამოიჭრა ეს საკითხი: 1947 წელს პარტიის ცკ-მ მიიღო გადაწყვეტილება შორეულ რაიონებში იმ პირთა ხელახალი დეპორტაციის მიზნით, ვინც უკვე მოიხადა სასჯელი ოცდაათიანი წლების პროცესების შედეგად. მითითება პარტიის ცკ-დან მოვიდა, მისი შესრულება კი უშიშროების ორგანოებს დაევალათ!

ეს როგორ – ყველას დეპორტირება, გარჩევის გარეშე? მაგრამ, რადგანაც გადაწყვეტილება პარტიამ მიიღო სტალინის მეთაურობით, ე.ი. ამისათვის სერიოზული საფუძველი არ არსებობს. თუმცა განსაკუთრებული ეჭვებით მაშინ არავინ იტანჯებოდა. ხალხის განწყობა ტროცკიზმისა და სხვა პარტიების მიმართ ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბდა ომამდელ წლებში. ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა (და არა მარტო უშიშროების ორგანოების წარმომადგენლებმა) მტკიცედ ჩაინერგეს: ტროცკიზმი მავნებელია ჩვენი საბჭოთა წყობილებისათვის. ეჭვქვეშ მხოლოდ ცალკეული ფაქტები იყო, ხოლო თვით ტროცკიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთოდ, მისასალმებელი იყო.

ეჭვგარეშეა, ტროცკიზმი ოპოზიციონერული მოძრაობა იყო, ძირითადად ბოლშევიკების და სტალინის მიმართ. მისი მთავარი შინაარსი ტროცკისა და სტალინს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლა იყო. ფართო ანტიტროცკისტული პროცესის საფუძველი ათობით და ასობით ფალსიფიცირებული საქმე იყო, რის შესახებ არცკი ეჭვობდა მრავალი ჩეკისტი. ამაში იყო მთელი ხიფათი.

მაშ ასე ორმოციანმა წლებმა რეპრესიების ახალი ტალღა წარმოშვა. 1948 წელს მძლავრი დარტყმა იგემა ევროპულმა ანტიფაშისტურმა მოძრაობამ. იგი გამოცხადდა ანტისაბჭოური პროპაგანდის ცენტრად. ანტიფაშისტური კომიტეტის „საქმის" კვალდაკვალ წარმოიშვა საქმე ექიმი-მკვლელების შესახებ (თითქმის ყველანი ებრაელები იყვნენ), რამაც საფუძველი დაუდო კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ მებრძოლ კამპანიას, რაც ანტისემიტიზმის ტენდენციის ზრდის დასაბამი იყო მთელ ქვეყანაში.

ყველა განაცვიფრა ე.წ. „ლენინგრადის საქმემ". მე უკვე აღვნიშნე, რომ პარტიის ლენინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ა.ა.კუზნეცოვი, ისევე როგორც პ.ს.პოპკოვი, ე.ნ.კაპუსტინი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდნენ ლენინგრადელთა და არა მარტო მათ შორის.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო" №47,48,49.

გაგრძელება იქნება

## საქართველო და რუსეთი მხად არიან ერთად ებრძოლონ „ბინძურ" ფულს

მოსკოვში ხელი მოეწერა ოქმს თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვალუტისა და ექსპორტის კონტროლის დარგში რუსეთის ფედერალურ სამსახურსა და საქართველოს საგადასახადო სამსახურს შორის.

როგორც სააგენტოს კორესპონდენტისათვის მოსკოვში საქართველოს საელჩოდან გახდა ცნობილი, აღნიშნული დოკუმენტი საშუალებას მისცემს საქართველოსა და რუსეთის შესაბამის სამსახურებს ერთად იბრძოლონ ვალუტის ერთი ქვეყნიდან მეორეში უკანონო მიმოქცევის წინააღმდეგ.

წყაროს ცნობით, ხელმოწერილი ოქმის თანახმად, ქართული და რუსული მხარეები ერთობლივად იბრძოლებენ არაკანონიერი გზით მოპოვებული კაპიტალის ლეგალიზაციაზე უძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდებისა და ფირმების შეძენის მეშვეობით საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიაზე.

გარდა ამისა, იმავე წყაროს თქმით, „ხელმოწერილი დოკუმენტის რეალიზაცია ხელს შეუწყობს ორი სახელმწიფოს ბიუჯეტების შევსებას", საექსპორტო და სავალუტო ამონაგების დაბრუნებას ერთობლივი კონტროლის დაგეგმვის ხარჯზე. (იფრინდა)

## ნივთმტკიცებად — დახეული პერანგი

გუშინ ზვიად განმათავისუფლებელი პარტიის პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ „ფაქტობრივი ხელისუფლება" ცდილობს სისხლის სამართლის საქმე აღძრას „26 მაისს „ომონელების" მიერ დაშავებულების – ეთერ მგალობლიშვილისა და ლეილა ცომაიას მიმართ". როგორც განცხადებაშია ნათქვამი, „ნივთმტკიცებად", მთაწმინდის რ-ნის პოლიციელის დახეული პერანგის გამოყენებას აპირებენ". (იფრინდა)

## უნდა ამუშავდეს კანონი გაკოტრების შესახებ

საბანკო სისტემის შექმნა იყო ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობა საქართველოს კრიზისიდან გამოსაყვანად და ეკონომიკის ასაღორძინებლად, – განაცხადა ედუარდ შევარდნაძემ საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ საკონსულტაციო-ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე. სხდომაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს აგრობანკის რეანიმაციას. – გადაუხდელობის პრობლემის მოხსნა შეუძლია მხოლოდ დროულად ამოქმედებულ კანონს გაკოტრების შესახებ, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკური რეფორმების საკითხებში, თემურ ბასილიამ. მისი თქმით, შეინიშნება ფარული პრივატიზაციის ტენდენცია.

# ძლიერთა ამა ქვეყნისათა — საქართველოს სპეცსამსახურის ყოვლისშემძლეთა საქმენი-საგმირონი

ს.მექმარიაშვილი დუმილით და ერთგვარად გაოცებით მისმენდა და ბოლოს აღნიშნა: „ჩვენ არავის არ ვიცავთ, ჩვენ ჩვენი სამინისტროს სახელს ვუფრთხილდებით...“, მე კი მას ირონიულად განვუცხადე: „ისე, სხვათაშორის, რომელი სამინისტროს სახელის გაფრთხილებაზეა ლაპარაკი... იმ სამინისტროსი, რომელიც დაახლოებით 2 წლის წინ ოფიციალურად აღიარებული იქნა ქვეყნის პრეზიდენტზე თავდასხმის ორგანიზატორად გარკვეული დუმილის შემდეგ ისევ მე გავაგრძელე: „თავის დროზე, თქვენ ხომ შემპირდით, მინისტრი ოფიციალურად ყველაფერს აღიარებს და ბოდიშს მომიხდიდა და თქვენს სამსახურში რამდენიმე უღირს თანამშრომლებს თქვენ თვითონ მიხედავდით... ეს ყველაფერი თქვენი სიტყვებია, რა შეიცვალა შემდეგ?!...“

ბოლოს და ბოლოს ჩვენი დიალოგით რომ არ გადავღალოთ ს.მექმარიაშვილმა დაჟინებით მთხოვა დარჩენა საუბრის გასაგრძელებლად, მე მივხვდი, რომ მას აინტერესებდა შემდგომში რას ვიმოქმედებდი... მე წყნარი ტონით დავიწყე ლაპარაკი: „ასეთ შემთხვევაში სხვა გზა არ მრჩება, წერილი პრესაში გამოვაქვეყნო...“. ს.მექმარიაშვილისგან კი ჩემს ასეთ გამოსვლას მკაცრი რეაქცია მოჰყვა: წერილში ცილისწამებაა ძირითადად, რის გამოც შენს საქმეს სამხედრო სასამართლოში გადავცემთ და თურქეთში ამოჰყოფ თავს...“.

საქართველოს სპეცსამსახურის ინსპექციის სამმართველოს უფროსის ს.მექმარიაშვილის ასეთმა გამოსვლამ, რა თქმა უნდა, ჩემში ღიმილი გამოიწვია, ისევ დავჯექი და ირონიით დავიწყე ლაპარაკი: „თქვენი სამსახურის ოფიციალური თუ არაოფიციალური წარმომადგენლების, ასევე საქართველოს ე.წ. თავისუფალი პრესის მესვეურების პირდაპირი თუ არაპირდაპირი დაშინების მეთოდებით დღემდე ვერ შემაშინეთ, ახლა კი ე.წ. სამხედრო სასამართლოთი გინდათ შემაშინოთ... უკვე დროა ის ელემენტარული ჭეშმარიტება გაიგოთ, რომ მე ვერაფრით ვერ შემაშინებთ...“

გარკვეული დუმილის შემდეგ ცოტა არ იყოს დაწყნარდი და შედარებით მშვიდი ტონით გავაგრძელე: „ბოლოს და ბოლოს თქვენ თანამშრომელ კუკური ჯავახიშვილთან ვმეგობრობდი, ალბათ იცით ჩემი სტუდენტობის მეგობარია. 1990 წლების დასაწყისიდან თქვენი სამსახურის დაზვერვის სამმართველოს თანამშრომელს კუკური ჯავახიშვილს ვეხმარებოდი, მის ე.წ. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, როგორც მეგობარს... ბევრჯერ მას ვუთარგმნე თურქული ლიტერატურა, განმარტებებს ვაძლევდი ისეთი საკითხების ირგვლივ, როგორიცაა ე.წ. თურქული უნივერსიტეტის გახსნა საქართველოში, თურქეთში პოლიტიზირებული ისლამისტური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ, თურქული პრობლემების, ჩრდ.კავკასიელთა დიასპორის და მათი საქმიანობის შესახებ და სხვა. აქ აღსანიშნავია, რომ იგივე თემებზე საქართველოს პრესისათვის თვითონ ვწერდი სტატიებს. ამასთან დაკავშირებით ერთ ცნობილ ფაქტს მოვიყვან: საქართველოს „სახელოვანი“ სპეცსამსახურის საქმიანობით უკმაყოფილო საქართველოს პრეზიდენტი თავის დროზე აღნიშნავდა 1995 წლის 29 აგვისტოს ცნობილი თავდასხმის შემდგომ შეხვედრაზე უშიშროების სამსახურის კოლექტივთან, პრეზიდენტი მიუთითებდა, რბილად რომ ვთქვათ, საქართველოს სპეცსამსახურის ჩამორჩენილობასა და არაპროფესიულობაზე. ის პირდაპირ მოითხოვდა მაშინ მეზობელი ქვეყნების ჟურნალ-გაზეთების გამოწერას, მათ დამუშავებას და მისთვის გამოგზავნას... პრაქტიკულად, ამ საქმეს აკეთებდა სპეცსამსახურის დაზვერვის თანამშრომელი კუკური ჯავახიშვილი ჩემი დახმარებით. უფრო მეტს გეტყვით, ახლა გავიგე, რომ თურმე კ.ჯავახიშვილის მიერ ჩემი დახმარებით გაკეთებული „საქმეები“ მინისტრების მათ შორის ავთანდილ იოსელიანის რეზოლუციებით პრეზიდენტამდე მიდიოდა. თურმე ასეთ „საქმეებში“ რაღაც კოდ სახელებიც მქონია...

ზემოთ მოყვანილი ფაქტიდან რა სახის დასკვნა შეიძლება გამოიტანოს კაცმა. მე ხომ პრაქტიკულად თურმე ვყოფილვარ სპეცსამსახურის დაზვერვის სამმართველოს არაოფიციალური თანამშრომელი. ისიც ვიცი, რომ კონტრდაზვერვის სამმართველოს თანამშრომლებს თავის დროზე თურმე შეუქმნიათ ჩემგან „მტრის ხატი“ და საქმეში ჩაეთვალათ. თურმე დღესაც მე მათთვის როგორც „მტრის ხატი“ ობიექტი ვყოფილვარ, ისევ „ფანტაზიებს“ ქმნიან ჩემზე და ისევ საქმეში ეთვლებათ. თქვენ სახელოვან სპეცსამსახურს ისე გამოუვიდა, როგორც იტყვიან, „ვირო მადლი...“ აბა, ეს ყველაფერი რით აიხსნება, ისევ და ისევ შემთხვევით... ამ საოცარ ქვეყანაში ყველაფერი შემთხვევით ხდება“.

პრაქტიკულად ჩვენი ე.წ. საუბარი ინსპექციის სამმართველოს წარმომადგენლებთან ამით დამთავრდა. ბოლოს, ალბათ, უშიშროების „ელიტარულ“ შეფებს მათთვის დავალებული ჰქონდათ, რომ გაეგოთ, რას ვაპირებდი, გამოვაქვეყნებდი თუ არა წერილს. მათი დაჟინებითი თხოვნის საფუძველზე, მათ აღვუთქვი, რომ ყველაფერს კიდევ ერთხელ მოვიფიქრებდი და წერილის გამოქვეყნების შემთხვევაში მათ წინასწარ ვაცნობებდი. აქ აღსანიშნავია ისიც, რომ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ როცა დავრწმუნდი, გაზეთ „7 დღის“ მაშინდელი რედაქტორი ბ-ნი ზვიად ქორიძე გამოაქვეყნებდა წერილს, რამდენიმე დღით ადრე მაინც ვაცნობე ს.მექმარიაშვილს. ალბათ, მისთვის ძალზე მოულოდნელი აღმოჩნდა და ამჟამად კი თურქეთის ციხე „შემპირდა“. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თურქეთის ციხით „შეშინებულმა“ მე მას ვთხოვე ორთაჭალის ციხე, რომელიც ჩემს სახლთან ახლოს მდებარეობს...

ცნობისათვის, მე როცა 1996 წლის 30 სექტემბრის მოვლენის შემდეგ წერილის გამოქვეყნებისათვის საქართველოს ე.წ. თავისუფალ სხვადასხვა პრესასთან „ბრძოლას“ ვაწარმოებდი, ჩემი მეუღლე სახლში ჩემთან ნამდვილ ბრძოლებს მიმართავდა. საქმე იმაშია, რომ დანით და ჩანგლით მთელი ორი დღის განმავლობაში, მისი სიტყვებით, მოსაკლავად დამსდევდა, საკუთარი სახლიდან გაძევების მიზნით ჩემს ტანსაცმელს წვავდა და აივნიდან ყრიდა. მისი სიტყვებით, „წიგნები ცოლ-შვილზე მეტად უყვარს, ამიტომ წიგნები უნდა დაეხიო, უნდა გაეამწაროო“, ამ მოტივით ჩემს წიგნებსაც ხევდა. უფრო დიდი ბარბაროსობა ჩაიდინა, ჩემს 4 წლის ბავშვსაც წიგნებს ახევინებდა, ბოლოს ორი ტომარა დახეული წიგნის სახლიდან გატანა მომიწია... ეს ყველაფერი დროებით ჩემი ორი მეგობრის, მათ შორის, კუკური ჯავახიშვილის მსუბუქი ფორმით დაჭრით დამთავრდა. მსგავსი „სცენა“ დიდი ხნის შემდეგ ისევ განმეორდა, ამჯერად კი წინამდებარე წერილის გამოქვეყნების პერიოდს „დაემთხვა“. ჩემი მეუღლე დაახლოებით ერთი თვის შემდეგ 1997 წლის მაისის დასაწყისში საღამოთი სახლში გამოჩნდა და მე სახლში მარტო დავხვდი. ამჟამად დანით მსუბუქი ფორმით მე დამჭრა, მეც პოლიციას მივმართე. ალბათ, საქართველოს „ყოვლისშემძლე“ სპეცსამსახურს ჩემი მეუღლის, ბელა მამისაშვილის მეშვეობით ჩემი გაძევებაზე თუ თურქეთში ციხეში გაშვებაზე ხელი არ ჰქონდა აღებული. ანდა ჩემს მეუღლეს „ყოვლისშემძლე“ სპეცსამსახურის არავითარი იმედი უკვე აღარ ჰქონდა, თვითონვე შეეცადა თავისი საკუთარი მიზნის მიღწევას. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ დღესაც ჩემს მეუღლეს სპეცსამსახურთან ორგანული კავშირი გააჩნია...

აღვნიშნავ იმასაც, რომ კონტრდაზვერვის პრაქტიკოს მეთაურ გოჩა მიქაუტაძეს მსგავსად ჩემმა მეუღლემაც სცადა ორჯერ პოლიციის გამოყენება ჩემი ფიზიკური დაჩაგვრისათვის, როგორც იტყვიან, ფაქტები ჯიუტია... ალბათ, უფრო სწორედ იმედია, რომ სპეცსამსახურის „თვალსაჩინო“ უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები ამ ფაქტებსაც შემთხვევით არ მონათლავენ „უბრალო დამთხვევად“.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, პრესასთან ჩემი ურთიერთობა გაზეთ „7 დღეში“ ჩემი წერილის გამოქვეყნებით გაგრძელდა, როგორც იქნა დაიბეჭდა, რა თქმა უნდა, ცალსახა ვარიანტად. ერთხანს ამაოდ ვეძებდი რაიმე პასუხს წერილზე ამ ორგანოთა მხრიდან, მაგრამ ამგვარ ცდას ადგილი არ ჰქონია, არც თავად მათ გაზეთში „სრულიად არასაიდუმლოდ“. მაგრამ კვლავ გრძელდებოდა ჩემს წინააღმდეგ როგორც სპეცსამსახურის მხრიდან, ასევე მათი „სულიერი“ თანამშრომლის – ჩემი მეუღლის მხრიდან „საქმენი-საგმირონი“. ამჟამად კი მინდა მოგახსენოთ როგორც მათი, ასევე მათი „სულიერი“ მოკავშირეების სხვადასხვა პრიმიტიული ე.წ. ფსიქოლოგიური ზეწოლა. საოცრებათა ქვეყანაში ჩემს ირგვლივ არსებული წრე დროთა განმავლობაში ნელა, მაგრამ ჯიუტად გადაიქცა „ჯადოსნურ წრედ“. უკვე ჩემს ე.წ. ახლო წრეში მყოფი პირები უფრო ხმამაღლა მიმტკიცებდნენ: სპეცსამსახურთან „ჭიდილს“ აზრი არა აქვს, სპეცსამსახურს რას ერჩი, ისინი თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებენ, შენ შენს ცოლს მიხედე... შენს ცოლს, როგორც სრულწლოვან ადამიანს, სრული უფლება აქვს სპეცსამსახურთან „საქმე დაიჭიროს“, ამ შემთხვევაში სპეცსამსახური რა შუაშია... ბოლოს და ბოლოს, მაქსიმ გორკის რძალიც თავის დროზე სპეცსამსახურის თანამშრომელი იყო და სხვა. რამდენადაც სამწუხაროდ უნდა ვღერდეს, ე.წ. სამოქალაქო ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც ასე მსჯელობენ, უფრო სწორად, მათი მოკლე ჭკუით, ასე მიმტკიცებდნენ. ერთ-ერთი ამ სახის წარმომადგენელს, ჩემმა მეუღლემ, რომელიც დიდი ხნის შემდეგ როცა სახლში გამოჩნდა, ალბათ ჩემს გასაგონად მას ხმამაღლა განუცხადა: „ვიღაცა საქართველოში ჩამოთრეული უცხოელი ჩვენ ადამიანთა უფლებებს გვასწავლის, პარლამენტის ფუნქციებში იჭრება...“ ჩემს სტუდენტობის მეგობარს, რომელიც ჩემს მეუღლეს კარგად იცნობდა, ვკითხე: შენ რას ფიქრობ, კარგად არის გაწვრთნილი?! თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ჩემი მეგობრის და ჩემი აზრები დიდი ხნის შემდეგ დაეთხვა, მან აღნიშნა: „კვალიფიკაცია აქვს გაღლილი...“ ასეთი პასუხის მიღების შემდეგ ჩემს მეგობარს ერთგვარი საყვედურის ფორმით განვუცხადე: თავის დროზე, შენ მიმტკიცებდი, შენ შენს 21 წლის ცოლს მიხედე... როგორ მივხედო, აკაკის არ იყოს, ბუნებამ თუ არ უშველა...“ ერთი სიტყვით, ჩემი 21 წლის ცოლი ბოლო ერთ წელიწადში ძალიან შეიცვალა, ზოგჯერ ბანდიტია, ზოგჯერ ძველი ბიჭი თუ ქურდი, ზოგჯერ პროვოკატორი, ზოგჯერ კი პრიმიტიული დემაგოგი (როგორც ზემოთ ენახეთ). ბოლოს და ბოლოს, იმ დასკვნამდე მივდივარ ხოლმე, რომ ერთი და იგივე „ბუნება“ და სკოლაა... ჩემი ხსენებული მეგობრის თანდასწრებით ჩემს მეუღლეს ის კი განვუცხადე: „მე არავის არაფერს არ ვასწავლი და არც პარლამენტის ფუნქციებში ვიჭრები, მე მხოლოდ და მხოლოდ ჩემს ადამიანურ ელემენტარულ უფლებებს ვიცავ, მეტს არაფერს“. ბოლოს და ბოლოს, როგორც იტყვიან, კარგ მთქმელს კარგი გამგონი უნდა, ჭეშმარიტად...

ზემოთ მოყვანილი დიალოგები თუ ანალოგიები, მგონი, საკმარისია. ისევ გადავალ ე.წ. ფაქტებზე და უფრო „მაღალ“ დიალოგებზე ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით, უშიშროების სამსახურის მესვეურებთან მეორეჯერ 1997 წლის 10 აპრილს შეხვედრა მომიწია. ამჟამად კი ზედა ეშელონების წარმომადგენლებთან, მინისტრის პირველი მოადგილე ბ-ნ ავთანდილ იოსელიანთან და მინისტრის მოადგილე, კონტრდაზვერვის სამმართველოს კურატორ ბ-ნ თემურ გრძელიძესთან. ხსენებული შეხვედრის შესახებ შეთანხმება წინასწარ მოხდა, ჩემი სტუდენტობის ერთ-ერთი მეგობრის ინიციატივით, იგი საქართველოს პარლამენტის წევრია და შეხვედრაზეც თვითონაც მონაწილეობა მიიღო. თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ ხსენებული ზედაეშელონების წარმომადგენლები ძალზე „მომზადებულნი“ აღმოჩნდნენ.

კონტრდაზვერვის კურატორ ბ-ნ თემურ გრძელიძის გამოსვლას ჩემი მხრივ ძალზე მწარე რეაქცია მოჰყვა, მან ერთგვარად ბრალდების და თავდაცვის სახით აღნიშნა: „თქვენ და თქვენს მეუღლეს შორის მანამდე ისედაც იყო კონფლიქტები...“ ჩემი პასუხი მკაცრი და ცალსახა იყო: „ზუსტად ჩემსა და ჩემს მეუღლეს შორის არსებული ე.წ. საოჯახო კონფლიქტით თქვენმა სამსახურებმა ისარგებლა... ჩემს წინააღმდეგ ჩემი მეუღლის და თქვენი კონტრდაზვერვის მიზნები თითქოს დაემთხვა ერთმანეთს, ბ-ნმა ავთანდილ იოსელიანმა მაინც აღიარა, რომ ნებისმიერ ოჯახურ კონფლიქტში ჩარევა მათ კომპეტენციაში არ შედის და ოჯახში არსებული კონფლიქტებით სარგებლობა სპეცსამსახურის მხრივ ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასია. ბ-ნმა თემურ გრძელიძემ, 1993 წლის ხსენებულ ავარიაზე გადაიტანა ყურადღება, პრაქტიკულად ერთი გარემოს გარდა ახალი არაფერი არ თქვა, თითქოსდა ავარიაში შემთხვევით მოხვედრილი ე.ი. დაზარალებული მანქანა მათი თანამშრომლის ნათესავის ყოფილიყოს. რაც შეეხება ჩემი მეუღლის კონტრდაზვერვაში მოხვედრას, ძველი ვერსია გაიმეორა, რაც ჩემი მეგობრის, პარლამენტარის ერთგვარი უკმაყოფილებაც გამოიწვია იმ მოტივით, რომ სპეცსამსახურს ნამდვილად არ გაუჭირდება ყალბი საბუთით დამტკიცება, რომ თითქოს ჩემი მეუღლე პოლიციის გაელით მოხვდა კონტრდაზვერვაში...

**ალი ალთუნი**

გაგრძელება იქნება

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „საქართველო“ №48,49.

[illegible]

## არასრულწლოვანებს ახალი კოლონია აქვთ...

ბუშინ, რეკონსტრუქციის შემდეგ გაიხსნა ავჭალის არასრულწლოვანთა კოლონია. ამის შესახებ საგენტოს აცნობა შს-ს პრეს-სამსახურმა. ინფორმაციის მიხედვით, კოლონიაში საუკეთესო პირობებია შექმნილი არასრულწლოვანთა ცხოვრებისა და სწავლისათვის. იქვე მოქმედებს პატარა ეკლესია. კოლონიის აღდგენისათვის საჭირო თანხები გაიღო შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღეს მეწარმეებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. (იფრინდა)

## სამუშაო თათბირი

ბუშინ, სასაზღვრო ჯარების დეპარტამენტის ექსპერტთა ჯგუფი 2 ადამიანის შემადგენლობით, მოსკოვს გაემგზავრა, სადაც წინასწარ განიხილავენ იმ დოკუმენტებს, რომლებზეც 3-4 ივნისს დსთ-ს სასაზღვრო ჯარების სარდალთა მორიგ თათბირზე იმსჯელებენ.

თათბირზე წარმოდგენილი იქნება 15 საკითხი: დსთ-ს გარე სახელმწიფო საზღვრებზე სასაზღვრო პუნქტებში კონტროლის სფეროში დსთ-ს სასაზღვრო ჯარების თანამშრომლობის შესახებ, სასაზღვრო ჯარების მეთაურთა საბჭოს მოღვაწეობის უზრუნველყოფისათვის აუცილებელი ხარჯთაღრიცხვის შესახებ, ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო მიმოქცევის წინააღმდეგ დსთ-ს ქვეყნების სასაზღვრო ჯარების თანამშრომლობის გააქტიურების ღონისძიებათა შესახებ და სხვა საკითხები. (იფრინდა)

## გაერო ქართველი ქალების დაცვაზე ზრუნავს

29 მაისს, გვიან საღამოს, პრეზიდენტის თანაშემწემ ეკონომიკური რეფორმების საკითხებში თემურ ბასილიამ, მიიღო გაერო-ს განვითარების პროგრამის კოორდინატორი მარკო ბორზოტი და გაერო-ს აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ-ს განვითარების პროგრამების კოორდინატორი ანტონ კრუდერინგი. ამის შესახებ საგენტოსათვის ცნობილი გახდა სახელმწიფოს კანცელარიასთან არსებული ეკონომიკური რეფორმის საინფორმაციო ცენტრიდან.

შეხვედრაზე ხელი მოეწერა ქალთა განვითარების პროგრამას, რომელიც ითვალისწინებს საკითხების მთლიან კომპლექსს, რომლებიც დაკავშირებულია ქალთა მდგომარეობასთან საქართველოში. კერძოდ, ქალთა უფლებების დაცვას, დედათა და ბავშვთა დახმარების პროგრამას, ქალის როლის გაზრდას, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში. (იფრინდა)

## დღეისათვის საქართველოში 1600 დეზერტირია

საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, დღეს გაიმართა საქართველოს ახალი სამხედრო პროკურორის პოლკოვნიკ ბადრი ბიწაძის პრეს-კონფერენცია, რომელიც საქართველოს არმიაში ჯარისკაცთა დეზერტირობის პრობლემებს მიეძღვნა. როგორც ბ.ბიწაძემ აღნიშნა, დღეისათვის საქართველოში 1600 დეზერტირია, რაც საქართველოს არმიისათვის დიდი მაჩვენებელია. მისი თქმით, სამხედრო პროკურატურა ცდილობს მოსამსახურეთა ჯარიდან გაქცევის მიზეზების ახსნას. „ყველა დეზერტირი კანონის შესაბამისად დაისჯება“ – განაცხადა პროკურორმა. ბ.ბიწაძის განცხადებით, წვევამდელთათვის, ჯარში გაწვევის თავიდან აცილების მიზნით, ყალბი დოკუმენტების გაცემისათვის დაკავებულია მცხეთის სამხედრო კომისრის მოადგილე. მანვე აღნიშნა, რომ სამხედრო პროკურატურის პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტების მიზნით, პროკურატურაში დაიწყო საკადრო ცვლილებები.

ბ.ბიწაძის თქმით, მან გააუქმა ყოფილი სამხედრო პროკურორის ბრძანება – ჟურნალისტებისათვის სამხედრო პროკურატურის საქმიანობაზე, ინფორმაციის გაცემის შესახებ. (იფრინდა)

## ლამაზ ბოთლს და ეტიკეტს ნუ გადაჰყვებით

რაღა არ წამოცდებათ ხოლმე პარლამენტის სხდომაზე. საგადასახადო კოდექსის განხილვის დროს ითქვა, რომ თურმე 27 დეკემბრიდან დაშვებული ყოფილა დენატურატიანი სპირტიანი სასმელების შემოტანაც და ამ სპირტისგან ადგილობრივი სასმელების დამზადებაც. დეპუტატები მხოლოდ ახლა მოეგენ გონს და ვიტალი ხაზარაძემ მოითხოვა ასეთი იმპორტის შემოტანის აკრძალვა. მაგრამ ხუთი თვის განმავლობაში, პარლამენტის თანხმობით ლეგალურად რომ წამლავდნენ საქართველოს მსმელ მოსახლეობას, ამაზე საერთოდ არ ყოფილა საუბარი. ზოგიერთი პარლამენტის წევრი კი ამას დიდ უბედურებად არ თვლის, რადგან ასეთი სპირტისგან მხოლოდ იაფფასიანი არაყი მზადდება, თვითონ კი, ეტყობა, უფრო ძვირფასიანს მიირთმევს. მაგრამ ფალსიფიკატორი რისია, რომ მან ძვირადღირებულიც არ დაამზადოს. ამიტომ გულს ნუ დაიმშვიდებენ ძვირფასი სასმელის მოყვარულები და ლამაზ ბოთლსა და ეტიკეტს ნუ გადაჰყვებიან.

მ.ი.

## უნდა დაწესდეს შეღავათიანი პირობები

საგადასახადო კოდექსის განხილვის დროს დადგა საკითხი ადგილობრივი თამბაქოს საწარმოების გადარჩენის შესახებ ზოგიერთი დეპუტატი თვლის, რომ საჭიროა თამბაქოს ნაწარმზე მოიხსნას აქციზი ან დაწესდეს შეღავათიანი პირობები. საბაჟო-საგადასახადო პოლიტიკის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე თამაზ მეჭიაური თვლის, რომ შეღავათებმა დალუპეს ქვეყანა და შექმნეს მანკიერი ეკონომიკა. ამიტომ ადგილობრივ თამბაქოს ნაწარმზე შეღავათები კი არ უნდა დაწესდეს, არამედ უნდა გაკონტროლდეს იმპორტი და ადგილობრივ ნაწარმსაც იგივე აქციზი უნდა დაუწესდეს, რაც იმპორტს. ეს თუმცა გამოიწვევს მაღალი კლასის სიგარეტის გაძვირებას, მაგრამ შემოსავლებით გაჩნდება საშუალება ადგილობრივ მრეწველობას დაეხმარონ. ასევე სახელმწიფომ სხვა საშუალებებით უნდა მოახერხოს ადგილობრივი მრეწველობის ხელშეწყობა და აღორძინება.

მ.ი.

## აფხაზებმა ქართულ მხარეს უგზო-უკვლოდ დაკარგული 130 აფხაზის სია გადმოსცეს

აფხაზეთის პრეზიდენტთან არსებული დევნილებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხების კომისიის ხელმძღვანელმა, ოთარ კაკალიამ 130 უგზო-უკვლოდ დაკარგული აფხაზის სია გადმოსცა საქართველოს სამხედრო ტყვეების გაცვლისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიების კომისიის თავმჯდომარეს, საქართველოს უშიშროების მინისტრის პირველ მოადგილეს, ავთანდილ იოსელიანს. კაკალიამ თხოვნით მიმართა ავთანდილ იოსელიანს, – დახმარება აღმოუჩინოს სიაში მოხსენებული პირების მოძებნაში.

(ბი ჯი აი)

*ღირსების ორდენოსანთა შორის ყველა როდია ღირსი... ახლახან ცნობილ ექიმ-ფსიქიატრს* **გაიოზ შარაშიძეს** *ღირსების ორდენი დამსახურებულად მიენიჭა. ვულოცავთ ბატონ გაიოზს ამ ჯილდოს და გთავაზობთ მასთან ინტერვიუს ჩვენი საზოგადოებისათვის ძალზედ მნიშვნელოვან პრობლემებზე.*

## გაიოზ შარაშიძე:

# ტელესერიალები „კეთილი ნარკოტიკის" ნაირსახეობაა



ეროვნული ბიბლიოთეკა

*– ახდენს თუ არა გავლენას ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური ვითარება სულით დაავადებათა ზრდაზე? როგორია დაავადებათა დინამიკა (ზრდისა თუ შემცირების თვალსაზრისით)?*

– სულით დაავადებულთა დინამიკა უცვლელია, ხოლო ნევროზები და ე.წ. მოსაზღვრე მდგომარეობანი რასაკვირველია, მატულობს და ფიზიკურად ჯანმრთელ ადამიანებსაც სჭირდებათ სულიერი დახმარება.

*– რას იტყვით გაუთავებელი ტელესერიალების მაყურებლებს? მართლა ხელს უწყობს ეს მათ განვითარებას, ყოველდღიური საზრუნავის აცილებას, თუ რაიმე უარყოფითი შედეგიც ახლავს?*

– ჩემის აზრით გაუთავებელი ტელესერიალები აქვეითებს ადამიანის ზოგად კულტურას, უვითარებს პრიმიტიულ, გაუბრალოებულ გემოვნებას. თუმცა ადამიანებს (განსაკუთრებით, ხანშიშესულებს) უადვილებს ცხოვრებას. მთელი მსოფლიო უყურებს სერიალებს. ეს ერთგვარად ნარკოტიკის როლს თამაშობს, უვნებელი ნარკოტიკაა. სერიალებში მიგნებულია ადამიანის სულიერი მდგომარეობის უხილავი ძაფები. ამით შეიძლება აიხსნას ის პარადოქსი, როდესაც სერიალებს თანაბარი აზარტითა და გატაცებით ეტანებიან, როგორც დაბალი განათლების და მაღალ ხელოვნებაში ნაკლებად გათვითცნობიერებული ადამიანები, ასევე ინტელექტუალებიც.

ეს უკანასკნელნი გარკვეული ირონიით მოიხსენიებენ ხოლმე თავის ალტკინებას და სწორედ აფასებენ ამ სახის ფილმების დაბალმხატვრულ ღირებულებას, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ძალზე ძნელია მათი მოწყვეტა ამ დაშაქრული, მძაფრი ვნებებით სავსე თავგადასავლებისაგან. სერიალი „კეთილი ნარკოტიკის" ნაირსახეობაა, თუმცა, თუკი იგი მანიაში გადაიზარდა, უკვე საეჭვოა მისი ავკარგიანობა.

*– ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების გარდა, კიდევ რამ შეიძლება ხელი შეუწყოს მოსახლეობის სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებას, რა უნდა გაკეთდეს ამ მხრივ საჭირო და აუცილებელი?*

– ძალზე სერიოზულ პრობლემას ქმნის სიღარიბე. ავადმყოფებს უჭირთ მედიკამენტების შეძენა, რის გამოც კიდევ უფრო იშვიათად მიმართავენ ჩვენი მოქალაქეები ფსიქიატრს. თანაც ტრადიციულად საქართველოში ფსიქიატრთან, ფსიქოთერაპევტთან ურთიერთობის კულტურა ძალზე დაბალია, რის გამო პაციენტი ან გვიან მიდის ექიმთან, ან საერთოდ არ თვლის საჭიროდ სულიერი პრობლემებისას მიმართოს ექიმს. მატერიალურ სიდუხჭირისა და ექიმ ფსიქიატრთან ურთიერთობის ჩვევის არქონის გამო ფსიქიატრიულ დახმარებისათვის იშვიათად მიმართავენ ექიმს, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ხდება

ფსიქიატრთან ურთიერთობის კომპლექსის დაძლევა არ არის ადვილი. ეს დამოკიდებულია ჩვენი მოსახლეობის ზოგადი კულტურის დონეზე, ტრადიციებზე, ყოფით ურთიერთობებში ჩამოყალიბებულ შეხედულებებზე. ბევრს არასწორად ესმის სოციალური პრესტიჟულობა ადამიანი განიცდის უხერხულობას, თუკი თავისი სულიერი პრობლემების გადასაწყვეტად მიმართავს ექიმს. ამიტომაცაა გავრცელებული ფარული მკურნალობა, რის გამოც, ხშირ შემთხვევებში ავადმყოფები არაპროფესიონალებისა და თაღლით ექიმბაშების ხელში ვარდებიან. ეს კიდევ ართულებს ფსიქიურ ავადმყოფთა მკურნალობის პრობლემას.

*– რა მოქმედებს ადამიანზე დადებითად, რომ თავიდან აიცილოს ან შეარბილოს მძიმე სულიერი მდგომარეობა?*

– ჰარმონიულობა გარემოსთან, ღირსეული შრომა, ადამიანის შესაძლებლობების რეალიზაცია ნიჭიერების მიხედვით. მაგალითად, არტისტული ბუნების ადამიანი შეიძლება მუშაობდეს პროზაულ სპეციალობაზე და იყოს უბედური, ხოლო პროზაული სპეციალობის ადამიანი ცდილობდეს შეიტანოს თავის საქმიანობაში არტისტიზმი და აქაც ხელი მოეცაროს. საერთოდ ხელმოცარულობის პრობლემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საზოგადოებაში. ამიტომ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანზე დადებითად მოქმედებს თვითრეალიზაციის უნარი და შესაძლებლობები სხვა უამრავ ფაქტორებთან ერთად.

*– უარყოფითად რაღა მოქმედებს? გარდა იმ სიდუხჭირისა, რომელიც ეკონომიკური კრიზისითაა განპირობებული?*

– ერთ-ერთი უმძიმესი განცდაა სიმარტოვე, გაუცხოება და იზოლაციის გრძნობა. ამ განცდებს თავისი მიზეზი აქვს და განვითარების თავისი ბუნება. ერთის მხრივ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დროს არის ტენდენცია ადამიანის პიროვნების ნიველირებისა, ხოლო როცა ქვეყანაში ხდება ეკონომიკური დეპრესია, პოლიტიკური დესტაბილიზაცია, დამნაშავეობის ზრდა, ეთნო და სამხარი კონფლიქტები, პარალელურად იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც დაკარგეს ოჯახი, ახლობლები, სამუშაო, ჩვეული ურთიერთობები და აქედან გამომდინარე, ადამიანს ეუფლება სიმარტოვე, გაუცხოება და ხვდება იზოლაციაში, რაც უკვე ფსიქიატრიული პრობლემაა და დროზე თუ არ უშველე ადამიანს, ზოგიერთ შემთხვევაში ყველაფერი მთავრდება სუიციდით (თვითმკვლელობით). სხვათაშორის თვითმკვლელები კანონგარეშე და ეკლესიის მიღმა რჩებიან, რაც სრულიად ამორალურად მიმაჩნია. საბჭოეთის დროს თვითმკვლელი თუ ცოცხალი რჩებოდა, პასუხი უნდა ეგო „კანონის" წინაშე?!

ამრიგად დიდი ხანია მომწიფდა ეფექტური პროგრამის შემუშავება სუიციდოლოგიური სამსახურისათვის, რათა დავეხმაროთ იმ ადამიანებს, რომელთაც აღენიშნებათ სხვადასხვა არაპათოლოგიური, ვიმეორებ, არაპათოლოგიური სიტუაციური რეაქციები სიმარტოვის მძიმე განცდით.

*– ხვალინდელი დღის შიში არის ტრადიციული პრობლემა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისათვის. გააჩნია თუ არა ასეთი შიში ჩვენს საზოგადოებასაც და არის თუ არა იგი ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი ქვეყანაში სულიერი დაძაბულობისა?*

– უმუშევრობა, სამედიცინო დაზღვევის არქონა, მკურნალობის სიძნელეები და შიში ჯანმრთელობის და სიცოცხლის შენარჩუნებისა. ყველაფერი ეს ცხადად რომ დაინახოთ და გაიგოთ, საჭიროა გაიაროთ ელიავას ქუჩის ბაზრობის წინ, სანაპიროდან, სადაც არსებობს ე.წ. არაორგანიზებული შრომის ბირჟა. აქ ნახავთ ასობით ადამიანს, რომელნიც ელოდებიან სამუშაოს მიცემას... ძირითადად არაკვალიფიცირებული მუშები და ხელოსნები.

ერთ დღეს გავიარე და შევაჩერე მანქანა, მტევრთავი მჭირდებოდა, შემომეხვია უამრავი ხალხი და მეხვეწებოდნენ: „ძია, მე წამიყვანე, ძია, მე წამიყვანე... ავარჩიე ერთი ახალგაზრდა და ერთი შუახნის კაცი ლოთის გარეგნობით, შუახნის კაციც საკმაოდ ახალგაზრდა გამოდგა, ასე 40 წლამდე. დამთავრებული ჰქონდა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი წარჩინებით თურმე, გამოირჩეოდა გამჭრიახი გონებითა და ნიჭიერებით (დაზუსტებული მაქვს თანაკურსელთან), უნივერსიტეტის შემდეგ, არეულობის დროს, მალე დაკარგა სამსახური და მიეძალა არაყს და ღვინოს. ასე გავიდა წლები, ამჟამად იძულებულია დადგეს ბირჟაზე კვირაში რამოდენიმე ლარის იმედით, რომ გააგრძელოს არსებობის ალკოჰოლური ფორმა. მე შემრჩა სრულიად დეგრადირებული, გონებრივად და ემოციურად გაღარიბებული ადამიანი, რომელიც ერთ დროს ბრწყინავდა უნივერსიტეტში.

მაპატიეთ ასეთი პათოსისათვის, მაგრამ უნდა გარკვევით ვთქვათ, რომ ხვალინდელი დღის შიში ერთ-ერთი სერიოზული მიზეზია პათოლოგიური და არაპათოლოგიური სიტუაციური რეაქციებისათვის, რაც განსაკუთრებით მომრავლდა მოსახლეობაში და მოითხოვს ფსიქიატრიულ და სოციოლოგიურ დახმარებას.

გამახსენდა ცნობილი კინორეჟისორის, მილოშ ფორმანის სიტყვები: „ საბჭოეთი მაგონებდა ზოოპარკს, სადაც ადამიანი მავთულის საკანში იჯდა და ჰქონდა ყოველდღიური გამოზომილი სარჩო, საბჭოეთის დაშლის შემდეგ... მაგონებს ჯუნგლებს, სადაც ზოგი კარგად ეწყობა და ზოგი კი მსხვერპლი ხდება".

*– რას იტყვით ჩვენ დღევანდელ ე.წ. ბიზნესმენებზე და გაკოტრებული მოსახლეობის ნაწილზე, ნუთუ აქაც ფსიქიატრიაა საჭირო?!*

– ფსიქიატრი ყველაფერში არის საჭირო ისევე, როგორც იურისტი, სოციოლოგი, ფინანსური მრჩეველი და შორსმჭვრეტელი, კონიუქტურის, ფინანსების მცოდნე კაცი.

ეს რთული კითხვაა და ცალმხრივად გიპასუხებთ.

დამოუკიდებლად მეურნეობის მართვა, სათანადო ცოდნის და კონიუნქტურის არცოდნის დროს, ძალიან რთული საქმეა გლეხს თავის ნაკვეთზე მოყავს მოსავალი და ყიდის. ეს ვიცით, მაგრამ რაღაც წარმოების შექმნა, მისი ექსპლუატაცია, მოგების თადარიგი და სხვა, უკვე რთულია, რადგან აქ სპეციალური ცოდნა, გამოცდილება და პროგნოზირების უნარია საჭირო.

